# მაცნე
## სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

N20 (9307) 20 ივლისი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

## პრემიერმა ქუთაისის შემოვლითი- სამტრედიის გზის ახალი ორზოლიანი მონაკვეთის მშენებლობა მოინახულა

2

3

## სამკურნალო მედიკამენტები 1 ლარად

## ღანერგე მომავალი თანამედროვე ტექნოლოგიებით 3

## "ტურიზმი ქვეყნის მამოძრავებელი ძალაა" 3

## 7 ვინ ეკითხება აზრს პროფესიონალს და კომპეტენტურს?

4

## „ძველი ოლიმპია ჯაგნარ"

## მტერს 6 ნუ გავახარებთ!

# პრემიერმა ქუთაისის შემოვლითი- სამტრედიის გზის ახალი ორზოლიანი მონაკვეთის მშენებლობა მოინახულა

ნინო ნანიტაშვილი

ქუთაისის შემოვლითი _ სამტრედიის გზის ახალი ორზოლიანი მონაკვეთის მშენებლობა მომავალი წლის ბოლოს დასრულდება. შემოვლითი გზის ოთხ ზოლიან მაგისტრალად მოდერნიზების სამუშაოები 16 ივლისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ვიცე-პრემიერთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილთან და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელთან, ზვიად შალამბერიძესთან ერთად დაათვალიერა.

ახალი ორი ზოლის აშენებით ქუთაისის შემოვლითი _ სამტრედიის გზაზე მოძრაობა ორივე მიმართულებით ცალმხრივი გახდება. პროექტი ჩქაროსნული გზის სტანდარტის დაცვით აშენდება და მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს საგზაო უსაფრთხოებას. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სხვა მონაკვეთებისგან განსხვავებით აღნიშნული გზის მშენებლობა სახელმწიფოს ბიუჯეტიდან სრულად ფინანსდება. პროექტის ჯამური ღირებულება 200 მილიონ ლარს აჭარბებს.

"გზის ეს მონაკვეთები საინჟინერო თვალსაზრისით საკმაოდ რთული და კომპლექსურია. ძალიან კარგია, რომ მშენებლობა ვადების დაცვით მიმდინარეობს და 2020 წლის მეორე ნახევარში, როგორც ქუთაისის, ისე ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის მონაკვეთების დიდი ნაწილი დასრულებული იქნება. ეს მანძილს ძალიან შეამცირებს და მოძრაობას უფრო უსაფრთხოს გახდის. უკვე მზადდება ტენდერები დარჩენილ მონაკვეთებზე და 2020 წლისთვის ჩვენი ინფრასტრუქტურული განვითარების მთავარი პროექტი _ ჩქაროსნული ავტომაგისტრალი სრულად მშენებლობის რეჟიმში გადავა. ამასთან ერთად, იგეგმება სხვა გაუთვალისწინებელი პროექტების დაწყებაც და ეს გარკვეული ჩამორჩენების აღმოფხვრის საშუალებასაც მოგვცემს". _ განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრმა 16 ივლისს ჩქაროსნული ავტომაგისტრალის არგვეთას მონაკვეთზე "ვისოლ ჯგუფში" ახლად გახსნილი დასვენებისა და მომსახურების კომპლექსი დაათვალიერა. ობიექტი 27 068 კვ. მ-ზეა განთავსებული და 200-მდე ადამიანია დასაქმებული. "ვისოლ ჯგუფში" შემავალი შვილობილი კომპანიების ობიექტების გარდა, კომპლექსი ავტომომსახურების კუთხეს, ელექტრომობილების დამტენ სადგურს, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს, წიგნების მაღაზიას, ბანკისა და აფთიაქის ფილიალებს მოიცავს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია ქუთაისის შემოვლითი სამტრედიის გზის ახალი ორზოლიანი მონაკვეთის მშენებლობას დადებითად აფასებს: "ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი მთლიანად განტვირთავს ჩვენს ქალაქში ტრანზიტულ მოძრაობას. ის, რომ პროექტი ჩქაროსნული გზის სტანდარტის დაცვით აშენდება და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგზაო უსაფრთხოებას, ეს ჩვენთვის კიდევ უფრო დიდი მონაპოვარი იქნება".

# ჰრიფუკავშირების შეხვედრა ფერმერებთან

საქართველოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა 17 ივლისს სამტრედიაში ფერმერებთან შეხვედრა გამართა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ: "ჭაგანი", "სამტრედია+", "დაფნარი", "წიაღი", "მამული_1" კოოპერატივების წარმომადგენლები და ფერმერები.

საქართველოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის კავშირის პრეზიდენტმა ირინე ფხოველიშვილმა ამომწურავად ისაუბრა დარგში არსებულ გამოწვევებზე, იმ პრობლემებზე, რომელიც პროდუქციის წარმოებისას ადგილობრივ ფერმერებს ექმნებათ. ამ უკანასკნელებმა თავის მხრივ პროფესიული კავშირის წარმომადგენლებს თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს. გამოკვეთა ტექნიკის, ფერმერთა გადამზადების, მიწის პასპორტიზაციის და შინაური პირუტყვის მიერ დათესილი ფართობების განადგურების პრობლემები. შეხვედრაზე შეჯერდნენ, რომ პრობლემების დაძლევაზე ერთობლივად იმუშავებენ.

იმავე შეხვედრაზე სამომავლო გეგმებთან ერთად საქართველოს ფერმერთა პროფესიულმა კავშირმა უკვე მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგები წარმოადგინა. კერძოდ, 2018 წლის 18 სექტემბერს ორგანიზაციის ძალისხმევით ფერმერული მეურნეობის, აგროსექტორის ინვესტორის, სტატუსების განსაზღვრა მოხდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტის აგრარულ კომიტეტში წინადადებების დამუშავება საკანონმდებლო აქტის მისაღებად. ასევე პროფკავშირმა საკანონმდებლო ინიციატივა დააყენა მიწის ფონდის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. წინადადება განსახილველად გადაგზავნილია პრემიერ მინისტრთან და პარლამენტში.

სამტრედიელ ფერმერთა და პროფკავშირების შეხვედრას ორგანიზება მუნიციპალიტეტის მერიამ და სამტრედიის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრმა გაუწიეს.

ნინო ნანიტაშვილი

# ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამვლა მრძელდება

აზიური ფაროსანასთან ბრძოლის მიზნით, სამტრედიის ქალაქის ტერიტორიის თერმული ნისლით დამუშავება 10 ერთეული სპეცტექნიკით მიმდინარეობდა.

სამუშაოების დაწყების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობა, ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრმა სატელეფონო გზავნილების მეშვეობით 24 საათით ადრე გააფრთხილა.

ამ ეტაპზე საკარმიდამო ფართობებისა და მიმდებარე ტერიტორიების დამუშავება ორი მეთოდით _ ცივი შესხურებით და თერმული ნისლის ტექნოლოგიით მიმდინარეობს. ცივი შესხურების მეთოდით მუშავდება ასევე საყანე ფართობებიც.

პროცესს ადგილზე აკვირდებოდა მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის წარმომადგენლობა, მერის წარმომადგენელი ქალაქ სამტრედიაში, თენგო ცაგურია, ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი ნოე ივანიაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

შეწამვლითი სამუშაოების პარალელურად, რეგიონებში განთავსებულია 50 ათასამდე "მოიზიდე და გაანადგურე" სადგური და 3074 ცალი ფერომონიანი დამჭერი, რომელთა მეშვეობით წერტილოვანი შეწამვლა 14 662 ჰა ფართობზე განხორციელდა. თერმული ნისლის ტექნოლოგიით საქართველოს მასშტაბით დამუშავდა 27 300 ჰა ფართობი. ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის, ჯამში, 250 ერთეული ტექნიკაა მობილიზებული.

აღსანიშნავია, რომ მავნებლის რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლადაა შემცირებული, რაც გატარებული სამუშაოების და სწორად დაგეგმილი სტრატეგიის შედეგია.

ღონისძიებები მეფუტკრეების ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება, რათა არ მოხდეს ფუტკრის დაზიანება და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შეწამვლითი სამუშაოები საღამოს 21:30 საათიდან ხორციელდება.

17 ივლისს სამტრედიის ქალაქის შემოგარენი სრულად შეიწამლა.

შეწამვლა სამ ეტაპად განხორციელდება. ქალაქის ტერიტორიის პარალელურად საყანე ფართობები იწამლება.

ნინო ნანიტაშვილი

# ღანერგე მომავალი თანამედროვე ტექნოლოგიებით

თეა ბაბუნაშვილი

***ჩხენიშში ჩასული მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია და ეკონომიკისა და სიცოცხლის მიწყობის სამსახურის უფროსი ნოე ივანიაძე, მოსახლეობას იმ პროექტის ირგვლივ ესაუბრნენ, რომლის დანერგვაც საკმაოდ შემოსავლიანი იქნება სოფლის მეურნეობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ისევ ახალი ხილია და ეჭვის თვალით უყურებს სოფლის მოსახლეობა, შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში ინტენსიურად აშენებენ ფოლოს, მაყვლისა და ლორჯი მოცვის ბაღებს, რომელიც არც გასაღების ბაზარს უჩივის, მაღალი მოსავლიანობითაც გამოირჩევა და შემოსავლიანიც გახლავთ.***

სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პროექტების მართვის საგენტოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის, "დანერგე მომავალი" ფარგლებში, კენკროვანი კულტურების გაშენებით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრები საკონსულტაციო რეჟიმში გრძელდება. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად იმ მუნიციპალიტეტების ჩამონათვალთა სიაში, სადაც პროექტი უნდა განხორციელებულიყო, სამტრედია არ გახლდათ. მისი ამ სიაში მოხვედრა მუნიციპალიტეტის მაჟორიტარის, გია მიქელაძისა და მერის, ვალერიანე ფოცხვერიას უშუალო დამსახურებაა. ის, რომ სახელმწიფო სრულად აფინანსებს კენკროვანი კულტურების გაშენების პროცესს, განსაკუთრებით ხელსაყრელია დაინტერესებული პირებისთვის. მათი მხრიდან მინიმალური ხარჯების გაღებაა საჭირო და ამ შემთხვევაშიც თანხის ნაწილი ფერმერს უკან უბრუნდება. მთავარი პირობა დამფინანსებლისა გახლავთ ის, რომ მიწის ნაკვეთი უნდა იყოს დარეგისტრირებული პიროვნებაზე და მისი მოცულობა 1.5-დან 5 ათასი მეტრის ფარგლებში უნდა მერყეობდეს. ფართობამდე ელექტროენერგია და წყალი უნდა იყოს მიყვანილი. თავდაპირველად დაინტერესებული პირი საკუთარი ხარჯით აკეთებს სინჯს ნიადაგის მჟავიანობის შესამოწმებლად, რომლის თანხაც შემდეგ უნაზღაურდება. სინჯი საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რომელი დასახელების კულტურისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება მიწის კონკრეტული ნაკვეთი. მუნიციპალიტეტის მერთან ერთად პროგრამასთან დაკავშირებით კონკრეტულ საკითხებში გაარკვია შეკრებილი მოსახლეობა ეკონომიკის სამსახურის უფროსმა ნოე ივანიაძემ. მან დაინტერესებულების ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

მუნიციპალიტეტის მერმა ხაზი გაუსვა, რომ განსაკუთრებით ისინი, ვისაც დასაქმების პრობლემა აქვს, მეტად უნდა იყოს დაინტერესებული ამ პროგრამით, რადგან "ეს არის უპრეცედენტო გადაწყვეტილება სახელმწიფოსგან. საკუთარი სიზარმაცე უნდა დავძლიოთ და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში სამუშაოდ წასვლას, საკუთარ ქვეყანაში დასაქმება ვარჩიოთ. დავავალე მერის წარმომადგენლებს და მაჟორიტარ დეპუტატებს ყველა თემში, რომ მოსახლეობასთან მეტი კომუნიკაცია ჰქონდეთ ამ თვალსაზრისით. პირადად ჩავერთეთ საკონსულტაციო შეხვედრებში. არ მინდა, სამტრედია ამ პროგრამის მიღმა დარჩეს და ვეცადოთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ იგი, უპირველესად საკუთარი ოჯახების საკეთილდღეოდ. არაერთხელ გამოვიყენე მასმედიის ყველა საშუალება და კიდევ არაერთხელ გამოვიყენებ იმისთვის, რომ მოსახლეობა დავაინტერესო ამ პროექტით."

ნაბაკევის თემში მერის წარმომადგენელი ოთარ წულეისკირი, პროექტით დაინტერესებულ ჩხენიშის ხუთივე უბნის მოსახლეობასთან კიდევ ერთხელ საუბრობდა კენკროვანი კულტურების სიკეთესა და კერძოდ, ამ პროექტის საჭიროებაზე. იგი აღნიშნავდა, რომ "მოსახლეობა ჯერ ისევ ეჭვის თვალით უყურებს ამ სიახლეს. არადა, გვინდა დავარწმუნოთ ისინი, რომ საეჭვო აქ არაფერია. ვიმედოვნებ, ინტერესი გაიზრდება და კიდევ უფრო მეტი ფერმერი ჩაერთვება სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ ამ პროგრამაში. ამ ეტაპისთვის ჩვენთან მიწის 4 სინჯს აიღებენ. ვისურვებდი, პროგრამაში ჩართვის მსურველთა რიცხვი გაზრდილიყო."

სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ მიცემული შესაძლებლობა მომავლის დასანერგად კარგი შანსია სოფლად და არა მხოლოდ სოფლად მცხოვრებთათვის შემოსავლის გაზრდის, დასაქმებისა და ამავდროულად, სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე რელსებზე გადასასვლელად. მოსახლეობის მეტად ინფორმირებისა და დაინტერესებისთვის კონსულტაციები ჯერ ისევ გრძელდება.

# სამკურნალო მედიკამენტები 1 ლარად

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების პროგრამაში ცვლილებები შედის, რომლის თანახმად, არსებული დიფერენცირება მოიხსნება და სოციალურად დაუცველ პირებთან ერთად, პენსიონერებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და სხვა ჯგუფებს მედიკამენტების ერთ ლარად შეძენა შეეძლებათ. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა. ინიციატივა მთავრობის სხდომაზე განიხილეს. როგორც პრემიერმა განმარტა, საუბარია 6 ქრონიკული დაავადების სამკურნალო 35 დასახელების მედიკამენტზე. პროგრამაში ჩართულია PSP-ს, ავერსის, ჯი-პი-სის, ფარმადეპოს, სახალხო აფთიაქის სააფთიაქო ქსელები. აფთიაქიდან ერთ ჯერზე 3 თვის სამყოფი მედიკამენტის გატანა იქნება შესაძლებელი. ჩამონათვალში შედის გულსისხლძარღვთა, შაქრიანი დიაბეტის, ფარისებრი ჯირკვლის, ფილტვის, პარკინსონის, ეპილეფსიის სამკურნალო პრეპარატები.

# "ტურიზმი ქვეყნის მამოძრავებელი ძალაა"

ნინო ნანიტაშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრებს აგრძელებს. ნათია თურნავა ამჯერად ქუთაისსა და იმერეთის მხარეში მცირე სასტუმროებისა და საოჯახო სასტუმრო სახლების მესაკუთრეებს შეხვდა. მინისტრისა და ბიზნესსექტორის შეხვედრები პრემიერ-მინისტრის ინიციატივის ფარგლებში მიმდინარეობს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი საქართველოს ტურისტულ სექტორში არსებული გამოწვევების ფონზე კერძო სექტორის, მათ შორის მცირე სასტუმროების მფლობელებს უკვე რამდენჯერმე, თბილისსა და აჭარაში შეხვდა და მათგან პირადად მოისმინა არსებული სიტუაციის შეფასება, თუ როგორ აისახა რუსეთის მხრიდან ფრენების აკრძალვა ტურისტულ ნაკადებსა და შესაბამისად, მათ საქმიანობაზე. ამასთან, ნათია თურნავა პირადად ეცნობა კერძო სექტორის ხედვას, სახელმწიფომ რა დახმარება და მხარდაჭერა შეიძლება გაუწიოს მათ არსებული სიძნელეების დაძლევის პროცესში.

შეხვედრას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად შალამბერიძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს, დავით ბახტაძეს, რომლის საკურატორო დარგებიდან ერთ-ერთს ტურიზმი წარმოადგენს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტად სწორედ ტურიზმი მიაჩნია: "ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. უახლოესი წლების განმავლობაში ყოველწლიურად მზარდია ვიზიტორების ნაკადი, ასევე ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავალი. სამტრედიის მუნიციპალიტეტში შეინიშნება ტურისტების ინტენსიურად გადაადგილება. მუნიციპალიტეტის საკვანძო მდებარეობის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტის, სარგინიგზო მაგისტრალის, საერთაშორისო საავტომობილო გზის საკვანძო მონაკვეთების არსებობა ჩვენს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების. პერსპექტივას ჰქმნის ეს უკანასკნელი კი აისახება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე".

# „ისტორიული ვაგონი"

ქეთევან ჭელიძე

***ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ვაგონია, სიძველისგან ფანგმოდებული, ჩაკარგული იმ არქიტექტურულ ანსამბლში, სადაც ის დგას. რამდენიმე საფეხურიანი რკინის კიბით, არასპეციფიკური კარით, რომელსაც არცთუ ხშირად ადევს ბოქლომი. "ისტორიული ვაგონი" _ ასე მონათლა მეუფე საბამ იგი.***

***19 წელია, ვაგონს წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში ერთი მოკრძალებული ადგილი უკავია. ის უამრავ დოკუმენტურ მასალას ინახავს სახალხოდ ქცეული იმ საქმისას, რომელსაც ტაძრის მშენებლობა ჰქვია.***

***ქარი ჯიუტად აფრიალებს მეწამულისფერ ფარდებს. მომცრო, ლია ფანჯრებიდან კარგად ჩანს ტაძარიც და სხვა დამთავრებული თუ დასამთავრებელი ნაგებობა. მათ მშენებლობას სწორედ ამ ვაგონში ჩაეყარა საფუძველი. ეს ერთი დიდი, წინააღმდეგობებით სავსე, მაგრამ რეალობად ქცეული სურვილის ისტორიაა. მისი გახსენება ყოველთვის სიამოვნებას ჰვრის ბატონ ჯონი ნადირაძეს. თვითონაც ამ ყველაფრის ნაწილია. იუარა, საზოგადოებას ჩემით თავს ნულარ შევაწყენთო, მაგრამ "ისტორიულ ვაგონზე" მის გარეშე ვერანაირად მოვყვებოდით.***

საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელის კაბინეტის ფუნქციას 16 წელია ასრულებს ვაგონი. ეს მისი მეორე სახლია, მოკრძალებული, წვიმისგან დაზიანებული კედლებით, ზამთარში ცივი და ზაფხულში ცხელი. "როცა საქმე გინდა გააკეთო, სხვა აღარაფერი არსებობს". _ გვარწმუნებს ბატონი ჯონი. _ "პრეტენზია რომ გაგიჩნდება, რაც შეიძლება კარგად მოიწყო სამუშაო პირობები, მაშინ აქ აღარ უნდა გაჩერდე. ეს არ არის ის ადგილი, საიდანაც რაღაც პიედესტალებზე ფიქრობდე. ამიტომაც ვარ აქ 21 წელიწადია. არ არის ადგილი, ბევრი სიძნელე ყოფილა".

რამდენჯერმე შესთავაზა მეუფემ, თავისთვის ოფისი აეშენებინა, მაგრამ ამისთვის ხალხს ვერ მოვაცდენო, ყოველთვის იმართლებდა თავს.

ვიდრე ამ არაორდინალური კაბინეტის შესახებ მოგვითხრობდეს ჯონი ნადირაძე, წარსულში გადაინაცვლა და ტაძრის ისტორია ერთხელ კიდევ გაიხსენა: როგორ ითავა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამტრედიელმა ლიდერებმა ქალაქის ცენტრში ტაძარი აეშენებინათ. როგორ ჩამობრძანდა 1990 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე არქიტექტორ გიგა ბათიაშვილთან ერთად და მშენებლობის ადგილი აკურთხა. როგორ მოიძია თავისი ყოფილი სტუდენტი, არჩილ გორდელაძე ბატონმა გიგამ და ისურვა, პროექტი მას განეხორციელებინა. ამასობაში "რუსთაველის საზოგადოებამ", რომლის თავმჯდომარე ავთანდილ ადეიშვილი, ხოლო მოადგილე ჯონი ნადირაძე იყო, მშენებლობის საკითხების მოგვარება ითავა და შემოწირულობისათვის სპეციალური ანგარიშიც გახსნა. რაიონის ყოფილმა არქიტექტორმა, არჩილ გორდელაძემ, იმ პერიოდისათვის კულტურის სამინისტროსთან არსებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელმა, თბილისიდან ტაძრის საძირკვლის პროექტი ჩამოიტანა და 1991 წლის ივნისში მშენებლობა დაიწყო. შეთანხმდნენ, რომ მუშაობის პარალელურად ტაძრის პროექტიც მომზადდებოდა.

"ზვიად ძიძიგური, რომელიც ამ საქმის ინიციატორი იყო, ამ დროს სამტრედიის პრეფექტი გახლდათ. ბუნებრივია, ეს აჩქარებდა პროცესს. ჩვენ მშენებლობისათვის დავუკვეთეთ ქვები. მათი გარკვეული ნაწილი 1999 წელს, როცა მშენებლობა განახლდა, მაშინაც გამოვიყენეთ." _ იგონებს ბატონი ჯონი.

სამოქალაქო ომმა არათუ შეაჩერა მშენებლობა, მისი ხელმძღვანელები, ზვიადისტობის გამო, მოღალატეებად გამოაცხადეს და დევნიდნენ. შემდეგ ისეთი ხელისუფლება მოვიდა, თავს არ იწუხებდა ეკლესიების მშენებლობითო, _ თქვა მან. ზვიად ძიძიგურმა კი, რომელიც ძმასთან, კობასთან ერთად დააპატიმრეს, ტაძრის მშენებლობა ციხეში დაიწყო. ჯონი ნადირაძეს დახმარებას სთხოვდა და ისიც, შეძლებისდაგვარად, მშენებლობისათვის აუცილებელი მასალით ამარაგებდა. კოლონიაშიც ხშირად აკითხავდა და მათი საუბრების ერთ-ერთი თემაც სამტრედიის საკათედრო ტაძრის მომავალი იყო.

"ზვიადი პირდაპირ, კონკრეტულად მთხოვდა, რომ მშენებლობა გამეგრძელებინა. თუ ამის საშუალება არ იქნებოდა, დამეკონსერვებინა მაინც. ეს უკანასკნელი კი, იმდენად რთული იყო, ვუთხარი: თუ გამოიძებნება დაკონსერვების საშუალება, ეს ნიშნავს, რომ გამოიძებნებოდა გაგრძელების საშუალებაც." _ გვიყვება ჩვენი რესპონდენტი.

როცა ზვიადისტების დევნა მეტ-ნაკლებად შეჩერდა, ჯონი ნადირაძე, ვანო მახარაძე და ავთანდილ ადეიშვილი თითქმის ყოველდღე იკრიბებოდნენ და პოლიტიკურ საკითხებთან ერთად იმაზეც მსჯელობდნენ, როგორ გაეგრძელებინათ ტაძრის მშენებლობა. მათ გარშემო შემოიკრიბეს თანამებრძოლები, რომელთაც იგივე სურვილი ამოძრავებდათ, მაგრამ შიშობდნენ: ვერაფერი, რომ ვერ გავაკეთოთ, ისედაც დამარცხებული და დევნილები ვართ და შევრცხვებითო.

"მე დავიჩემე, რომ უნდა დაგვეწყო და დაგვეწყო არაფრით, ღმერთს უნდა მივნდობოდით. აქეთკენ იმანაც მიბიძგა, ზვიადი რომ ციხეში ტაძარს აშენებდა". _ გვეუბნება ბატონი ჯონი.

გადაწყვეტილება მშენებლობის გაგრძელების შესახებ ჯონი ნადირაძისა და ვანო მახარაძის რაიონის მაშინდელი გამგებლის მოადგილესთან, ავთანდილ ლომიასთან შემთხვევით შეხვედრამაც განაპირობა. მისგან გაიგეს, რომ გამგებლის, თემურ ყაჭეიშვილის სურვილით და მეუფის ნებართვით სამტრედიაში კიდევ ერთი ტაძარი უნდა აგებულიყო. ჩანაფიქრი გაუკვირდათ, რადგან საკათედრო ტაძრის შენება უკვე დაწყებული იყო და გასაგები მიზეზების გამო მუშაობას ვეღარ აგრძელებდნენ. თურმე ზვიადისტები ამბობენ, რომ ჩვენ არავის ჩავრევთ მშენებლობაშიო, _ განუმარტეს მათ. ეს შეცდომა იყო და ბატონი ჯონის თხოვნით გამგებელს შეხვდნენ. შეთანხმდნენ, ტაძარს ერთად ააშენებდნენ, ოღონდ ერთი პირობით, ციხეში მყოფი ზვიად ძიძიგურის სიტყვიერი თანხმობა სჭირდებოდა თემურ ყაჭეიშვილს. დასტურის მიღების შემდეგ კიდევ ერთი ეტაპი ხონი-სამტრედიის ეპარქიის მეუფესთან შეხვედრა გახლდათ. აი, როგორ იგონებს ამ მომენტს ბატონი ჯონი: "8 საათზე დაგვიბარა მეუფემ. 1999 წლის 22 ივნისია. ახალი ჩამოსული იყო მეუფე ჩვენს ეპარქიაში და ხონში პატარა ხის სახლში ცხოვრობდა (სხვათა შორის, გიორგობას, 23 ნოემბერს პირველად რომ წირვა ჩაატარა ხონში, მაშინდელ პარლამენტართან, ტარიელ ჩაჩუასთან ერთად ამ წირვაზე დასწრება მეც მომიწია). მე, ვანო მახარაძე, გივი ღაღანიძე და ავთანდილ ლომია წავედით ამ შეხვედრაზე, ძალიან ენერვიულობდი, ვფიქრობდი, რომ უარს იტყოდა. ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ მე ვილაპარაკე. მეუფემ მომისმინა, მცირე პაუზა გაიკეთა, რომელიც საუკუნედ მომეჩვენა. მერე დაიწყო ისეთ თემებზე საუბარი, რაც თითქოს არ ეხებოდა ამ საქმეს. წლების შემდეგ ვუთხარი: ყველაზე უფრო ის გამიკვირდა, მაშინ თანხმობა რომ მოგვეცი-თქო. ჩემი აზრით, იმიტომ დაგვთანხმდა, რომ მან დაინახა პოლიტიკურად დაპირისპირებული, მაგრამ ერთი საქმით დაინტერესებული ხალხის სულისკვეთება. ბოლოს თქვა, რომ მშენებლობის განახლების პარაკლისი უნდა გადავიხადოო.

ამ შეხვედრიდან მეორე დღეს ჯონი ნადირაძე ავთანდილ ლომიას კაბინეტში ეწვია და საინიციატივო ჯგუფის სახელით განცხადება მომზადდა. ეს ამ საინიციატივო ჯგუფის მიერ შედგენილი პირველი დოკუმენტიაო. _ ბატონმა ჯონიმ და ტელეკომპანია "ზარის" პრეზიდენტის სახელზე გაკეთებული განცხადების ასლი მომაწოდა. საინიციატივო ჯგუფის წევრები მიმართავდნენ სამტრედიელებს, რომ 1999 წლის 25 ივნისს, პარასკევს, 12 საათზე, სამტრედიის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის განახლების აღსანიშნავად პარაკლისი ჩატარდებოდა.

საძირკვლის თითქმის მესამედი უკვე ჩასხმული იყო. აუცილებელი გახდა დანარჩენი ნაწილის გაწმენდითი სამუშაოები დაეწყოთ, რასაც დიდი დრო მიჰქონდა. თემურ ყაჭეიშვილმა თათბირი მოიწვია და ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და ცემენტის გამყიდველ კერძო პირებს დავალება მისცა, დახმარება გაეწიათ ტაძრის მშენებლობისათვის, რომელსაც ბატონი ჯონი უხელმძღვანელებდა. თითო-ოროლა ტომარა ცემენტს აგროვებდნენ და ასე ემზადებოდნენ დიდი მშენებლობისთვის. როცა მუშაობა დაიწყეს, წვიმის დროს თავშესაფარიც კი არ ჰქონდათ. გივი ღაღანიძის თხოვნით, იური კერელეიშვილმა, რომელიც იმხანად უკვე გაუქმებულ ცეკავშირის ბაზაში არსებულ ქონებას კურირებდა, მცირე ზომის ვაგონი გადასცა მათ. დღეს მას საწყობად იყენებენ. ბეტონმზელი მანქანის ძიებაში "მშენპროექტის" ხელმძღვანელს, ავთო მიქელაძეს დაუკავშირდნენ. ის გვერდით დაუდგა მშენებლობას, ბევრ დახმარებას უწევდა. ამწეც მან დადგა ტაძრის ეზოში და კიდევ ერთი ვაგონიც მოიტანა.

"თავიდან მშენებლობის პროცესი მძიმედ მიმდინარეობდა, ხალხმა რომ დაინახა, საქმეს არ ვეშვებოდით, განსაკუთრებით, როცა ტაძრის კედლის ამოყვანა დავიწყეთ, ბევრი ადამიანი შემოგვიერთდა. მშენებლობის დაწყებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შევძელი, ბიჭებისთვის 10 მანეთი მიმეცა, პური და ყველი რომ ეყიდათ. უმეტესად მშივრები ვმუშაობდით, ხანდახან სხვადასხვა ტაძრის მრევლიდან ქალბატონებს ზამთრისთვის შენახული კონსერვები მოჰქონდათ. როცა მუშაობა აეწყო, გია მიქელაძე იმ პერიოდში ხშირად გვსტუმრობდა და გვეხმარებოდა, რომ ნახა, ვაგონი ვეღარ იტევდა მშენებლობაზე დასაქმებულ ადამიანებს, საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობასთან გვიშუამდგომლა და უფრო დიდი ვაგონი შემოიტანა. ჩვენი ტრაპეზარი, ირაკლი აბაშიძე, არა მარტო სადილს ამზადებდა იქ, პროდუქტებსაც ინახავდა". _ გვიყვება ჯონი ნადირაძე. გამოთავისუფლებული ვაგონი კი სამუშაო კაბინეტად იქცა, სადაც მსჯელობდნენ, აზრებს აჯერებდნენ, ტაძრის პროექტზე მუშაობდნენ, გეგმავდნენ, ვის უნდა შეხვედროდნენ და ა. შ.

ბატონ ჯონისთან ერთად 13 წელი იმუშავა ამ კაბინეტში კობა ძიძიგურმა. იგონებს, როგორ გაშლიდა ბატონი კობა პირდაპირ იატაკზე და ერთმანეთს აწებებდა დიდი ზომის ფურცლებს ჩუქურთმის დასახატად, რომ მერე ქვაზე გადაეტანათ იგი. იმ ძველ მაგიდაზე ამჯერადაც ნახაზებია გაშლილი, ოღონდ ახლა მათზე თამაზ დოლიძე მუშაობს. ბატონი ჯონი მადლიერებას გამოხატავს ამ ადამიანის მიმართ, ჩემი მარჯვენა ხელია, ძალინ ნიჭიერი და დაკვირვებულიო. ჩხირკედელაობაც უყვარს თურმე ბატონ თამაზს, ვაგონის ერთ პატარა ოთახში, სადაც სხვადასხვა სამუშაო იარაღის ნაწილს ინახავენ, მის მიერ აწყობილი ჩარხიც დგას, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში თვითონვე იყენებს.

ვაგონ-კაბინეტის ზღრუბლს გადააბიჯებთ თუ არა, პირველ რიგში, ზვიად გამსახურდიას პორტრეტზე შეაჩერებთ ყურადღებას. იგი პირველი პრეზიდენტის დაბადებიდან 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით სამტრედიელ ხატმწერს, ელგუჯა ახობაძეს დაუხატავს. აქვეა ხატებიც, ყველა ნაჩუქარიაო, _ გვითხრა ბატონმა ჯონიმ. ეს ხის ხელნაკეთი ჯვარიც ციხიდან გამოუგზავნეს საჩუქრად. ჩვენი სახე ეს არისო და არქიტექტორ გია ხაჟალიას მიერ შექმნილ საკათედრო ტაძრის ესკიზზე მიგვითითა: "ტაძარი უკვე აშენდა და ამ ესკიზმაც თავისი ფუნქცია დაჰკარგა, მაგრამ ვერ ვიმეტებ, კედლიდან ჩამოვხსნა. როცა შემოვდივარ, მახსენებს, თუ რატომ ვართ ჩვენ აქ. ეს ხატიც ნაჩუქარია არქიმანდრიტ შიოს მიერ. დარიალის ხეობაში, რუსეთის საზღვართან ახლოს ორ, მთავარანგელოზთა მიქაელის, გაბრიელის და წმინდა გიორგის ტაძარს ლევან ვასაძე აშენებს. პირველი სართული რომ დასრულდა, მაშინ ჩავედით იქ. საკურთხეველში რომ ტრაპეზია, რომლის გარეშე არ არის ეკლესია, ჩვენ გავაკეთეთ და საჩუქრად წავიღეთ. იქ წინამძღვარი სამტრედიელი მოძღვარია, მამა იოსები. აი, ეს დავით აღმაშენებლის ხატი (თავიდან ხატი არ იყო) ჩვენებური მხატვრის, ვახტანგ დიდიძის მიერ ეროვნული მოძრაობის პერიოდშია შესრულებული. ჩარჩო შევაცვლევინე ჩემს მეგობრებს, ლევან პაპავას და გენო მიქაძეს. ასევე ჩარჩოში ჩავასმევინე ეს ძველი ხატიც _ "საქართველოს დიდება". ეს რუკა კი, რომელზეც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებია დატანილი, დავით სანიკიძემ მაჩუქა, მას სიძველეები უყვარდა. მე-13 საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ტაძრებია აღნიშნული ამ რუკაზე.". _ კაბინეტს გვათვალიერებინებს ჯონი ნადირაძე. აქვეა მეუფე საბასთვის მისი თანასოფლელების მიერ ნაჩუქარი სურათი, რომელიც ახალ რეზიდენციაში დაიდებს ბინას. კარადის თავზე ფანქრით შესრულებული დავით აღმაშენებლის ნახატი დევს, რომელიც ზვიად ძიძიგურს მოსწავლეობისას დაუხატავს. განსაკუთრებით ძვირფასია ბატონი ჯონისთვის სურათი, რომელიც 2004

წლის სექტემბერში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან მის შეხვედრას ასახავს. გვიყვება, როგორ დაითანხმა ბათუმში მიმავალი ილია მეორე, სამტრედიაში ჩამოსულიყო და მშენებარე ტაძარი დაეთვალიერებინა. გაიხარა, პატრიარქი რომ კმაყოფილი დარჩა. წასვლისას ხუთჯერ მაინც გადამიხადა მადლობაო.

"ეს კარადა და ეს მაგიდები ჩაიმექანიკური ქარხნიდან გადმოგვცა მისმა ხელმძღვანელმა მიშა ლეჟავამ. მეორე კარადა ჩემი მეუღლის მეჯვარემ და ჩემი შვილის ნათლიამ, ალა ლაიკინამ გვისახსოვრა. იცით, ამ სკამზე ვინ იჯდა 20 წელი? სამტრედიელი კოლორიტი კაცი, ჩაი-მექანიკური ქარხნის დირექტორი შალვა გოგავა. სპეციალურად წამოვიღე." _ გვიხსნის ბატონი ჯონი.

სეიფიც, რომელიც დიდი ხანია აქ დგას, ისიც ნაჩუქარია. ერთ დროს, როცა ბატონი ჯონის მეუღლე წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარედ მუშაობდა, მისი სამსახურის კუთვნილება იყო. როცა ზვიადისტი მეუღლის გამო, სამსახურიდან გაათავისუფლეს ქალბატონი ვიოლა, სეიფი ყოფილი რაიკომის შენობაში დარჩა. ბოლოს კი ვაგონში დაიდო ბინა. აქ ყველა ნივთს თავისი ისტორია აქვს და ტაძრის მშენებლობის ისტორიას ჰყვება. კარადებში ერთმანეთზე დალაგებულ საქაღალდეებში უამრავი მასალა ინახება. ყურადღებას იპყრობს ჩვენი მასპინძლის სამუშაო მაგიდაზე ფაილებში აკურატულად ჩალაგებული დოკუმენტები, საეკლესიო და ისტორიული წიგნები. ახლა უკვე ის ფიგურა გავხდი, ბევრ რამეს რომ მეკითხებიანო, _ ამბობს და საეკლესიო კალენდარს ფურცლავს. საერო პირისთვის ეს წიგნი არ არის აუცილებელი, მაგრამ ჩავთვალე, რადგან აქ ვარ, ყოველწლიურად მეც შევიძინო და გავეცნო მას. ივანე ჯავახიშვილის "საქართველოს ისტორიაც" სამაგიდო წიგნებია ბატონი ჯონისთვის, ისინი ზოგჯერ ეხმარებიან, ჭირვეულ ოპონენტთან კამათში: "არასდროს ვამტკიცებ იმას, რაც არ ვიცი. ზუსტად რომ ვიცოდე, რასაც ვამბობ, აი ესენი მეხმარებიან".

ერთი ამდენი და კიდევ მეტი შენახული მაქვსო. _ გვეუბნება და რვეულებს გვაჩვენებს. მათი წარმოება წლებია დაიწყო, ზოგში ხარჯებს, ზოგში კი შემოსავლებს აფიქსირებს. ახალი სამრეკლოსთვის დამზადებული 2 ახალი ზარიც, ჯერჯერობით, ამ კაბინეტში დევს, მალე აქ ჩოხოსნების სახელზე ჩამოსხმული ზარისთვისაც მოიძებნება ადგილი. სხვადასხვა სამეცნიერო წიგნებსაც გვათვალიერებინებს, რომლებიც ჟურნალ "სამტრედიის მატიანეს" რედაქტორს დახმარებას უწევენ. კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს გვანახებს ბატონი ჯონი, უკვე ფერგადასული წარწერით. ეს წიგნად აკინძული ტაძრის მშენებლობის პროექტია, საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების საბჭოს მიერ რეგისტრირებული, ბეჭედდასმული და ამბა ალავერდელი მიტროპოლიტ დავითის ხელმოწერით დადასტურებული. "აქ რაც ესკიზებია, გია ხაჟალიას ეკუთვნის, რომელიც მან არქიტექტორ რეზო ჯანაშიას კარნახით შექმნა. რეზო ჯანაშია ზვიადმა ციხეში გაიცნო. სთხოვა, ტაძრის პროექტი შეექმნა, რადგან გიგა ბათიაშვილმა მოუცლელობის გამო უარი თქვა, პროექტზე ემუშავა. ბატონი რეზოც გიგას ყოფილი სტუდენტი აღმოჩნდა. არ მინდა ვაწყენინოო და მორიდების ნიშნად პროექტის ავტორად თავისი თავი არ დააფიქსირა. საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების საბჭოს მიერ პროექტის ავტორად გია ხაჟალიაა აღნიშნული. ბოლოს მაინც არ დაიმალა, ყველამ გაიგო, სინამდვილეში ვინც არის პროექტის ავტორი". _ გვარწყვეს ჯონი ნადირაძე.

ისტორიული ვაგონს სტუმრები არასდროს ჰკლებია. საათობით უმუშავნია აქ ზვიად ძიძიგურს და რეზო ჯანაშია, აქვე განიხილავდნენ პროექტებს. აქ სტუმრობდნენ პარლამენტარები, გამგებლები და რიგითი სამტრედიელები. განსაკუთრებით დაამახსოვრა თავი ბატონ ჯონის 2003 წელს მესამე საშუალო სკოლის იმ ოთხმა პირველკლასელმა, 10 და 20 თეთრიანებით შეკრებილი თანხა თანაკლასელების სიასთან ერთად რომ დაუტოვეს ტაძრის მშენებლობისთვის. ბევრი ასეთი სია ინახება აქ.

ეს და ზოგადად, საკათედრო ტაძრის მთელი ტერიტორია ის ადგილია, რომლის გარეშე ყოფნა ვერ წარმოუდგენია ჯონი ნადირაძეს. 21 წლის მანძილზე 20 დღე არ იქნება, აქ არ ვყოფილიყავიო, დასძინა. სხვაგან წასული, როგორი გვიანიც არ უნდა იყოს, აქ მაინც შემოივლის. ამ კაბინეტიდან იწყებოდა და იწყება დღესაც ყველა საქმე, რაც ტაძრის ეზოში ხორციელდება. გვარწმუნებს, რომ 2-3 წელიწადში, არც ეს ვაგონები და არც ეს საამქრო, სადაც ასეთი რუდუნებით ჭრიდნენ ქვებს და აჩუქურთმებდნენ, საჭირო აღარ იქნება. ვიდრე კარს გამოიხურავს, მისი საზრუნავი ეზოს კეთილმოწყობაა...

ესეც ამბავი ერთი ძველი ვაგონის, რომელმაც დიდი გზა გამოიარა უკრაინიდან საქართველომდე, სამტრედიამდე და თავისი მადლიანი საქმით ჩვენი წერილის მიზნად იქცა.

# ევროპული ხარისხის უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR) დარეგისტრირება პოზიტიურად შეაფასა. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან აცნობეს.

როგორც შარვაშიძემ აღნიშნა, გარდა იმისა, რომ ქვეყნისთვის პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება, გაიზრდება უცხოელი სტუდენტების მხრიდან საქართველოთი დაინტერესება, ისწავლონ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რათა ევროპული ხარისხის უმაღლესი განათლება მიიღონ.

"EQAR-ის წევრობა ნიშნავს, რომ ჩვენს კურსდამთავრებულებს არ ექნებათ ევროპაში დიპლომის ცნობისა და აღიარების პრობლემა და ეს საქართველოს განათლების სისტემის უდიდესი აღიარებაა. ეს არის ის ლოგიკური ნაბიჯი, რომლითაც დასრულდა ჩვენი დაახლოება ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან". _ განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

**interpresniusi**

# „საარჩევნო განვითარების სკოლა" სამტრედიაში

**ნინო ნანიტაშვილი**

15 ივლისს, 12 საათზე "საარჩევნო განვითარების სკოლა" გაიხსნა. ათდღიანი სწავლება თბილისსა და 25 მუნიციპალიტეტში ერთდროულად დაიწყო. სასწავლო კურსი ახმეტაში ცესკოს თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ გახსნა.

"სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა 54-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. ნანა იმნაძემ აღნიშნულ პროექტზე კომენტარი გააკეთა: "პროექტი მიზნად ისახავს სამოქალაქო განათლების ამაღლებას ახალგაზრდებში და არჩევნების პოპულარიზაციას. "საარჩევნო განვითარების სკოლა" ასევე მიზნად ისახავს გაფართოვდეს და მოიცვას მთელი საქართველო, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს საშუალებას მოგვცემს, უფრო მეტი ახალგაზრდა იყოს ჩართული საარჩევნო პროცესებში და გადამზადებული".

სამტრედიის საარჩევნო კომისიაში სურვილი გამოთქვა 23-მა ახალგაზრდამ. ჯგუფში 20 ჩაირიცხა. 10 დღის შემდეგ, ანუ 25 აგვისტოს დაიხურება საარჩევნო განვითარების სკოლა, სადაც პროექტის მონაწილეებს დამსახურებულად გადაეცემათ სერტიფიკატები და ასევე ცესკოს მიერ დაწესებული საჩუქრები.

"საარჩევნო განვითარების სკოლის" სასწავლო პროგრამა შემდეგ საკითხებს მოიცავს: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევითი ორგანოები საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა და ა. შ.

2015-2018 წლებში პროექტის წარმატებით განხორციელების შემდეგ საარჩევნო სკოლების რაოდენობა წელს კიდევ გაიზარდა.

# მტერს ნუ გავახარებთ!

ლევან გაბეჩავა

***სამწუხაროდ, ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი "ქრონიკული დაავადება" გათითოკაცება, გათიშულობა, რომელიც მტრის წისქვილზე ახამდა და ასხამს წყალს, ქვეყანას კი უფსკრულისაკენ მიაქანებს, ვერც XXI საუკუნეში მოვიშორეთ და...***

***და ისევ მტყუან-მართლის ძებნაში ვართ ქართველები.***

***უძველესი სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის ქვეყნის შვილები, რიგ შემთხვევაში, ისე ვიქცევით, ნამდვილად რომ არ გვეკადრება.***

***ჩვენ კი არა, მსოფლიო ადევნებს თვალ-ყურს რუსთაველზე, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.***

გასაგებია, რომ მიტინგები მშვიდობიანია (20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების შემდეგ), მაგრამ დროა, მხარეები მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ და საერთო აზრზე, მიზანზე, სამოქმედო გეგმებზე შეთანხმდნენ, რამეთუ ქვეყანაში, როცა მთელი პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური სპექტრის გონება მიტინგებისკენაა ფოკუსირებული, დანარჩენი პრობლემების მოგვარების საკითხი მეორე პლანზე ინაცვლებს უნებურად. მართალია, ჩვენი საზღვარგარეთელი პარტნიორები ყველაფერს დემოკრატიულობით ხსნიან, მაგრამ ჩვენ, ქართველებმა (ჯერჯერობით მაინც) დემოკრატია ჩვენებურად, ქართველურად, ემოციურად, იმპულსურად რომ გავიგეთ, საბედისწერო ივნისის იმ ორმა ღამემაც დაგვანახა.

ნამდვილად გვტკივა თვალებდათხრილი, ნაცემ-ნაგვემი გოგო-ბიჭები და გვტკივა ნაცემი პოლიციელებიც, რამეთუ ისინიც ხომ ჩვენა ვართ, ქართველები, ჩვენი ძმები, შვილები, მეგობრები.

საოცრად შეგვრცხვა მიტინგებზე სიბილწით გაჯერებული ლოზუნგების ხილვა, რომელმაც შნო და მოთხოვნის სიმძაფრე დაუკარგეს მომიტინგეთა კანონიერ სურვილს, თანაგრძნობას დაშავებულებისადმი.

მართალია, საერთაშორისო ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ მედიათავისუფლებას, მაგრამ თითოეული ჟურნალისტი, საკუთარი თავის ცენზორი უნდა იყოს ყოველი მისი განცხადებისას, რაგინდ მისთვის და ერისთვის არასასურველ პიროვნებას, ფაქტს, მოვლენას ეძღვნებოდეს მისი პუბლიკაციები, თუ გადაცემები. მსოფლიო გვისმენს,

მსოფლიო გვიყურებს.

დიპლომატია, მეტი პოლიტიკა, შორსმჭვრეტელობაა საჭირო ამ ვითარებაში საქართველოში და არა ბილწსიტყვაობა, თანაც ისეთი, ნამდვილად რომ არ გვეკადრება ქართველებს.

ოკუპანტი რუსეთი ისევ ცხვრის ქურქით გვევლინება საქართველოსთან მიმართებაში გაკეთებული განცხადებებით.

აზერბაიჯანულმა მხარემ დავით გარეჯიდან ხატები გამოაბრძანა _ აქაოდა, ეს ჩვენი ტერიტორიაა.

აშკარად მეტი პრინციპულობაა საჭირო ხელისუფლებისაგან გამოსაჩენი საკითხთან მიმართებაში.

არაა პატარა 28 წელი დამოუკიდებლობისა.

მეზობელ სახელმწიფოებთან საზღვრებს ახლა უნდა ვადგენდეთ?

ჩვენს ტერიტორიებთან მიმართებაში კითხვის ნიშნები რატომ უნდა არსებობდეს?

ერი მიტინგებით კი არა, მკლავმოუღლელი შრომით უნდა დაიქანცოს.

არაა სასარგებლო სამართლიან მოთხოვნებზე ყურის არიდება მთავრობისათვის, ქვეყნისათვის.

არაფერია არც ამჯერად ისეთი სასარგებლო ქვეყნისათვის, როგორც ერთ მუშტად შეკვრა, გაერთიანება, ერის კონსოლიდაცია.

## სკოლამდელ დაწესებულებებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წელი დასრულდა

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში საზაფხულო არდადეგები დაიწყო. "სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილეს სასწავლო აღმზრდელობით დარგში. მარინა შენგელიამ სასწავლო პერიოდი შეაჯამა: "2018-2019 სააღმზრდელო და საგანმანათლებლო წლის განმავლობაში მმართველები, მეთოდისტები, აღმზრდელები და დამხმარე პერსონალი დაუღალავად შრომობდნენ თითოეული ბავშვის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოების დაცვაზე. პედაგოგიურმა კოლექტივმა ბავშვთა ჰოლისტური განვითარებისათვის არაერთი შემეცნებითი პროექტი განახორციელა. ეს იყო ღია და შემაჯამებელი აქტივობები, პროექტები, ღია კარის დღეები და აქციები. ბავშვებმა მათი განვითარების ყველა ეტაპზე მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები არაერთხელ შესანიშნავად წარმოგვიდგინეს. აღსანიშნავია, რომ მთელი წლის განმავლობაში პოზიტიური ურთიერთობები იყო ბავშვებთან, მშობლებთან და ოჯახებთან, მშობლები აქტიურად მონაწილეობდნენ საბავშვო ბაგა-ბაღის ყოველდღიურ საქმიანობაში. ასეთმა შეხებამ ძალიან დიდი შედეგი გამოიღო, ასევე, ყველა თანამშრომლის დაუღალავმა შრომამ და დაკისრებული პასუხისმგებლობის სათანადოდ შესრულებამ. აღფრთოვანებას ვერ ვფარავდი საბავშვო ბაგა-ბაღებში არაერთი შექმნილი ბავშვთა სამყაროს ნახვით და ეზოს მოწყობის სხვადასხვა ხედვით, რომელიც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით იყო შექმნილი. რესურსებად გამოყენებული იქნა ბუნებრივი, მეორადი და ღია მასალა. დიდ მადლობას ვუხდი სისტემაში ჩართულ ყველა თანამშრომელს და მშობლებს 2018-2019 სააღმზრდელო და საგანმანათლებლო სასწავლო წლის წარმატებით დასრულებისათვის".

მარინა შენგელიამ საგაზეთო კომენტარში აღნიშნა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ახალი სტანდარტების მიხედვით აღმზრდელ-პედაგოგის წოდების მიღების შემდეგ, ბავშვების უნარ-ჩვევები, ღირებულებები და დამოკიდებულებები სათანადო დონეზე ამაღლდება.

სკოლამდელ დაწესებულებებში ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წელი მიმდინარე წლის 16 სექტემბერს დაიწყება.

## გახმა ჭადარი, მომჭრელი არ არის?

ლევან გაბეჩავა

ვინ იცის, რამდენჯერ შეგვიფარებია თავი შენი ამაყად გაშლილი ტოტების ჩრდილქვეშ. არც ალერგია გვკლავდა და არც შემოდგომაზე ქალაქის ქუჩებში ყვითლად მიმოფანტული შენი ფოთლების შრიალი.

წლების წინ რაიონის "გონიერმა თავკაცებმა თავები წაგაცალეს და... და საყვედურის შემცველი წერილების ნაკადი წამოვიდა გაზეთში. ჩვენც არ დავახანეთ მაშინ და დავწერეთ:

ჭადრები რომ გადახერხეს,
ცუდს რას ხედავთ თქვენ ამაში?
ხეს კი არა, კაცს თავს ჭრიან,
უპატრონო ქვეყანაში.

გაზეთისა და ჩემმა "მეგობრებმა" არც მაშინ დაგვტოვეს უყურადღებოდ და... რაიონის თავკაცთან ბატონ ყაჭეიშვილთან "სხვა საკითხზე" მიხმეს, მერე "სხვათაშორის" ჭადრებზე ჩამოვარდა საუბარი და განმარტეს, თურმე ალერგიული ყოფილა ეს ძირგასახმობიო.

სახლის წინ ორი საუკუნის ჭადარი მიდგას, მის ჩრდილქვეშ კი 92 წლის დედაჩემი დილიდან საღამომდე ზის და არაფერი მოსვლია. _ პოზიცია გამიმაგრა ჩემმა უფროსმა კოლეგამ, აწზორ გრიგოლიამ.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ არ იქნა და არ გაღირსეს ბოლომდე მხრების გაშლა. ალბათ, ყველაფერს მისი გასასამართლებელი მხარე აქვს.

ამ მზის ქვეშეთში არავინ და არაფერია მუდმივი და მუდმივად, უკვე რამდენიმე თვეა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სახლის წინ გამხმარი ჭადარი დგას (ბიბლიოთეკასთან).

გული მწყდება, აშკარად სიცარიელეს ვიგრძნობთ უშენოდ. უმადურობად ნუ ჩამითვლი, თუ შენს მოჭრას და ქალაქიდან შენს გატანას ირონიაშერეული ვითხოვ.

მადლობა ათასგზის მოგვრილი შვებისა და ჩრდილისათვის ერთ დროს ამაყად მოშრიალე ჭადარო!

# ვინ ეკითხება აზრს პროფესიონალს და კომპეტენტურს?

თეა ბაბუნაშვილი

*სიმღერისა და ლექსის ქვეყანაში, საქართველოში, სხვა დანარჩენთან ერთად ქართულად სიმღერისა და სასიმღერო ლექსის პრობლემაც დადგა. ქართული ესტრადის ნაკლოვანებებსა და შუქჩრდილებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, არადა, ამ საუბრის მიზეზ-მიზანი სწორედ ეს გახლდათ. სახელდახელოდ ვისაუბრეთ ამ და მსგავს თემებზე რამდენიმე თვის წინ სამტრედიაში სტუმრად ჩამოსულ კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილთან და კონცერტიდან კარვა ხნის შემდეგ შემთხვევით აღმოჩენილი ჩანაწერიდან ინტერვიუ "ვამოვადნეთ". ზედაპირულად განხილული პროფესიონალებისა და მსმენელისთვის მტკივნეული საკითხი სხვადასხვა დონეზე არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი, თუმცა სერიოზულად ამაზე ნაკლებად რომ ფიქრობენ, კონცერტებსა და კონკურსებზე უცხოურად მომღერალი სულ უფრო მეტი ახალგარდა მეტყველებს. სასიმღერო ქართული რომ ქართულის ვარდა ყველა ენით შეიცვალა ეს ერთი. მეორეც, განსაკუთრებით ახალი თაობის მომღერლებისა და მსმენელის მუსიკალური გემოვნება სულ უფრო დარე ხდება, რომ არაფერი ვთქვათ ვოკალურ შესაძლებლობებსა და ზოგადად სასცენო კულტურაზე. გასული საუკუნეში სექმნილი და დღეს ვინ მოსთვლის რამდენჯერ გარემიქსებულ-ვაქავერებული, რამდენჯერ ვადამღერებული ქართული სასიმღერო კლასიკა, კვლავ დასაყრდენი ბირთვია თანამედროვე ესტრადისთვის, რადგან მას შემდეგ ღირებული და დროსვაძლებული ჯერ არაფერი შექმნილა. ბუნებრივია სამწუხაროდ, და კიდევ უფრო სამწუხაროდ, "მაგ, მომავლიდანაც" არავინ ჩანს ტკბილქართულად ამღერებულ-ამღერებელი.*

*წარსულში ცნობილმა კომპოზიტორმა, რომელსაც, როგორც თავად ამბობს, ქართული ესტრადის ზენიტი, "რეროს", "ორერას", ციცინათელას", "ივერიას", ვია-75"-ის ხანა კარგად ახსოვს, ნანი ბრეგვაძის, ბუბა კიკაბიძის და კიდევ ბევრი სხვა ვარსკვლავის თანამედროვეა, პროფესიონალის თვალით დანახულ იმ საკითხებზე ისაუბრა, რომელზე დაფიქრებაც ნამდვილად ღირს.*

*ის, რომ პროფესიონალების აზრს არ იზიარებენ, მეტიც საქმის მცოდნე ნაკლებად სჭირდებათ საკუთარი შეფასებებით, განსაკუთრებით საქართველოში, არახალია. ვაჟა დურგლიშვილიც, ისევე როგორც არაერთი პროფესიონალი, სწორედ ამას მიიჩნევს ყველა პრობლემის სათავედ. რამდენად და რა ენაზე ემღერება დღეს საქართველოს, სხვა საკითხია, მაგრამ მაინც ვადავწყვიტეთ ამ ძველი ჩანაწერის გაახლებით კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს შედარებით მსუბუქად შევეხოთ, მით უმეტეს, რომ ვსაუბრობთ კომპოზიტორთან, რომელსაც ქართული ესტრადის ქრონიკების გახსენებაც შეუძლია და ჯერ ისევ აქვს შეხება მის თანამედროვეობასთან.*

**_ ბატონო ვაჟა, უცხო ენაზე ამღერებული ახალგაზრდები ქართული ესტრადისა და მისი გემოვნებიანი მსმენელის საფუძვლიანი გულისწყვეტის მიზეზია. სხვა საკითხია მათი ვოკალური მონაცემები, სასცენო კულტურა და შესრულების მანერა. მტკივნეულია სასიმღერო ლექსის ფორმა და შინაარსიც. ფაქტობრივად, ქართული სიმღერა თავისი ტექსტით, უცხოური ინტონაციებითა და აქცენტით გაჯერებული "იმღერება"?**

ვფიქრობ, ძირითადი მიზეზი თანხის უქონლობაა. და კიდევ ცენზურა!

ადრე სახელმწიფო აფინანსებდა და იძენდა კომპოზიტორებისგან სიმღერებს, ფილარმონია, კულტურის სამინისტრო. შემდეგ მათ შემსრულებლები ასრულებდნენ. დღეს ერთი სიმღერა 500-დან 1000 დოლარამდე ღირს. შემდეგ ამას არანჟირება, სტუდიური ჩანაწერი ემატება და ძალიან ძვირი ჯდება.

**_ მაგრამ კომპოზიტორის ინტერესიც ხომ უნდა იყოს მისი სიმღერა შესრულდეს. თუ მხოლოდ უსახსრობაა მიზეზი, საფიქრალი ხომ არ არის ამ ფასებმა საგრძნობლად დაიწიოს...**

_ მე გითხარით რა ჯდება და და ღირს სიმღერა. სხვა საკითხია, რა ფასს იხდიან, ან საერთოდ იხდიან თუ არა. პირადად მე არაერთი სიმღერა მაქვს გაჩუქებული. ასე არიან სხვა კომპოზიტორებიც.

**_ მაგრამ ეს ვერ უნდა ზღუდავდეს დაინტერესებას. რა იწვევს იმას, რომ საქართველოში ქართულ სიმღერას თითქმის არ, უკეთეს შემთხვევაში ნაკლებად მღერიან, რისი ბრალია ქართველს რომ ქართულად სიმღერა ეძნელება, მეტიც, ეხამუშება?**

_ მიუხედავად იმისა, რომ დღესაც არაერთი კარგი სიმღერა იწერება და იქმნება, დღევანდელი ქართული ესტრადა ჯერ ისევ იმ სამოცდაათწლიან შემოქმედებას ეყრდნობა, რაც დღემდე მოვიდა. კვლავ ის ძველი სიმღერები ბრუნავს იმიტომ, რომ ახლის შეძენა არ შეუძლიათ. ეს იწვევს იმას, რომ ჩვენ გაჩერებული ვართ ერთ ადგილზე. თუ არადა, შემოვიდა ე. წ. საქორწილო, ბაიათური სიმღერები, რომელმაც დააუშნოვა, დაკნინა ჩვენი ესტრადა. თვითონ მომღერლებიც თითქოს დაჩიავდნენ, პრიმიტიულები გახდნენ. ამის გამო მუსიკალური გემოვნება დაუქვეითდა როგორც მომღერლებს, ასევე მსმენელს. სოციალურ ქსელში ასეთ სიმღერებს მილიონობით ნახვა აქვს, სერიოზულ, კარგ სიმღერას გაცილებით ნაკლები.

**_ თქვენი ვაჟი, საკმაოდ პოპულარული მომღერალი რატი დურგლიშვილი არ არის გამონაკლისი მისი თაობის მომღერლებს შორის და ისიც გახლავთ უცხოური სიმღერების აქტიური შემსრულებელი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვებზე გაცილებით მეტი ქართული სიმღერაა მის რეპერტუარში. მას და მისი თაობის მომღერლებს რას ურჩევდით?**

_ კი, რატი ძირითადად, ქართულ რეპერტუარს ასრულებს და მათი სრული უმრავლესობა ჩემი ავტორობითაა. როცა მის მეგობრებს, მომღერლებს ვთავაზობ სიმღერას, მათ იმ დონის აინტერესებთ რა დონისაც არის ის უცხოური მუსიკა, რომელზეც დღეს არის მოთხოვნილება. ამ მოთხოვნას მე ვერ ვედავები. ქართული მუსიკა არ არის მხოლოდ ხალხური. ესტრადას სულ სხვა მუსიკა, სხვა გაქანება აქვს და მას სჭირდება კომპოზიტორი. ამიტომ ისინი თვითონვე წერენ უცხოურს მიმსგავსებულ იმ დონის სიმღერებს, რომლის შესრულებაც უადვილდებათ.

**_ ამანაც გამოიწვია ის, რომ სასიმღერო ლექსიც დაიკარგა. ვფიქრობ, ლექსი უნიშვნელოვანესია სიმღერის მელოდიურობისათვის.**

_ ეს იმიტომ, რომ ცენზურა საერთოდ არ არსებობს, არანაირი, არათუ პროფესიონალური და კომპეტენტური. იცით, როგორ, ფილტრავდნენ სიმღერას რომ მივიტანდით? ლექსს ცალკე ამოწშებდნენ, მელოდიას ცალკე. ეს სინთეზი კარგა ხანია, აღარ არსებობს. დღეს ერთი და იგივე ადამიანი წერს ლექსსაც, მუსიკასაც... და შედეგიც სახეზეა, როგორც ზემოთ გითხარით, ისევ იმ სამოცდაათწლიანი წარსულიდან ვმღერით ხოლმე და ის ღირებულიც გადავამღერეთ ხშირ შემთხვევაში.

**_ და ეს უკონტროლობა სადამდე მიგვიყვანს, ან როდემდე შეიძლება გაგრძელდეს?**

_ შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენი ესტრადა ჩაძირულია! და ეს უმსგავსობა, რაც ხდება, დასრულდება ისევ და ისევ კონტროლით! დიახ, უნდა გაკონტროლდეს ყველა სიმღერა, რაც სამზეოზე გამოვა. კონტროლი კი მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალებმა უნდა მოახდინონ.

**_ რას იტყვით იმ პროექტებზე, ტელევიზიით რომ მიმდინარეობს ხოლმე. თითქმის ყველა არხზე რაღაც მუსიკალური კონკურსი იმართება სხვადასხვა ასაკის მომღერლებს შორის.**

_ ეს არაფერი არ არის. თავად ატარებენ ამ კონკურსებს და თავად აფასებენ. ვის ეკითხებიან აზრს, პროფესიონალს და კომპეტენტურს? არავის. თავად არიან მასში ჩართული და ყველაფერი მიდის ისე, ყველა შეფასება ისეთია, როგორიც აწყობთ და ვიღებთ კიდეც მომღერლების ისეთ თაობას, როგორსაც ვიღებთ, როგორიც თავად აწყობთ, რომ გვყავდეს.

**_ ვის დაასახელებდით, ვინ დგას დღეს სცენაზე ღირსეულად?**

_ მერაბ სეფაშვილი მიმაჩნია უმაღლეს დონედ. ეს მაინც არ არის უკვე ახალი თაობა. რაც შეეხება ახალ თაობას, დღევანდელებს, უნდა ვთქვა, რომ დუეტი "ჯორჯია" არის ძალიან ძლიერი. იცით რა, ნანი ბრეგვაძემ თავისი სიტყვა უკვე თქვა, არ არის აუცილებელი, მის სტილში, მის ჟანრში იმღეროს თანამედროვე მომღერალმა, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს ნიჭი და უნარი, ნანი ბრეგვაძესავით თქვას საკუთარი სათქმელი, მაგრამ თანამედროვე რელსებზე შემდგარი. ესტრადას განვითარების სპორტული ინტერესი სჭირდება. ესტრადა მარტო სიმღერა არ არის, იგი შოუა და სად არის ჩვენთან შოუ? სიმღერის, ცეკვის, მოძრაობის ერთობლიობა ქმნის კარგ საესტრადო ნომერს. ადრე ანსამბლები იყო თავად უკრავდნენ და მღეროდნენ, სანახაობას დგამდნენ სცენაზე და პოპულარობაც არ აკლდათ. კარგ მომღერალს სჭირდება რეჟისორი, მხატვარი, ქორეოგრაფი და ამის შემდეგ ხდება იგი პოპულარული.

**_ თანამედროვე კონკურსებს დავუბრუნდეთ, ბუნებრივია, გამარჯვებულები ჰყავთ, რომლებზეც დიდ იმედებს ამყარებენ და ხშირ შემთხვევაში ასეთი კონკურსების ჟიურის შემადგენლობაში ვხვდებით პროფესიონალებს ...**

_ იცით რა, ძალიან მალე ქრებიან ასეთი კონკურსების გამარჯვებულები. თქვენ გინახავთ, მათგან რომელიმე მერე ნანი ბრეგვაძე გამხდარიყოს? იმარჯვებენ იმ კონკრეტულ პროექტში, დასაჩუქრდებიან ბინით ან მანქანით და იქ მთავრდება ყველაფერი, უკეთეს შემთხვევაში ორ-სამ სიმღერას იმღერებენ და მორჩა! ისიც იმ ძველის რემიქსს. წინათ როგორ იყო იცით? ვთქვათ, დავწერდი სიმღერას და მივიტანდი "ორერაში", მერე იმას "ციცინათელა" არ შეასრულებდა. ის სიმღერა "ორერასი" იყო, სხვა ანსამბლს მისი ჰქონდა. დღეს ამას არავინ დაგიდევთ, ოღონდ სიმღერა ჰქონდეთ და! დამისახელეთ მომღერალი, რომელსაც თანამედროვე საქართველოში საკუთარი რეპერტუარი აქვს. არ არსებობს ასეთი, არეულია ერთმანეთში ყველა და ყველას სიმღერა. იქნებ ყველას მისი სტილი და მიმართულება აქვს, მაგრამ ასეთი რამ მაინც არ შეიძლება. თუმცა, აზრი არ აქვს ამ ყველაფრის თქმას, იმიტომ, რომ მაინც არ მოგისმენენ და პირიქით, რას ამბობ, გაჩუმდი, თორემო... დაგემუქრებიან. ასეთებიც ყოფილა!

# გრან-პრი “განდაგანათი”

თეა ბაბუნაშვილი

**თუ გინდა, ბათუმში აჭარელს “აჭარულით” აჯობო, ტოლებელი უნდა იყო! დიახ, ასე და ვისაც უნდა იმან თქვას, ხმამაღალი განაცხადიაო. ფაქტი ისაა, რომ ჯერ ისევ ახლად ჩამოყალიბებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა “ტელეფისი” ტოლების თემში ორი წლის წინ რომ შეიქმნა, გრან-პრი მოიპოვა! საერთაშორისო კონკურსს, რომელზეც ეს ჯილდო დაიმსახურეს, “ოქროს ჩანჩქერი” ჰქვია. იგი ბათუმში რამდენიმე დღის წინ გაიმართა და საზღვარგარეთისა და საქართველოს 48 კოლექტივი იღებდა მონაწილეობას.**

უმაღლესი ჯილდო პირველივე გასვლაზე დიდი შრომისა და მონდომების შედეგია. ქორეოგრაფიული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან ნუცუბიძე გამოცდილი ქორეოგრაფია. მასთან ერთად მუშაობს ქორეოგრაფი გურამ გეფერიძე, რომელიც ცეკვის ხელოვნებას ლევან ნუცუბიძემ აზიარა. “მისი პირველი გამოშვება ვიყავი, მერე ურთიერთობები თანამშრომლობასა და მეგობრობაში გადაიზარდა. დღეს ერთად ვხელმძღვანელობთ ანსამბლს, რომელმაც პირველ წარმატებას მოკლე დროში მიაღწია. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს არა მხოლოდ ჩვენი, ქორეოგრაფების, არამედ მშობლების უდიდესი დამსახურებაც არის.” _ აღნიშნავს გურამ გეფერიძე. მათ გვერდით ანსამბლს ახალგაზრდა ქორეოგრაფები, ნოდარ სხვიტარიძე და მეგი კიკაბიძეც ატყობენ ხელს. უნდა ითქვას, რომ ისინიც ლევან ნუცუბიძისა და გურამ გეფერიძის აღზრდილები არიან. ფინანსების და დაფინანსების ნაკლებობის გამო, “ტელეფისი” არაერთ მიწვევაზე იკავებს თავს. ეს პირველი წარმატებაც ქორეოგრაფებთან ერთად მშობლების ხარჯზეა მიღწეული. როგორც ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან ნუცუბიძე აღნიშნავს: “კონკურსის შემდეგ მიწვევები უკვე გვაქვს. ასეთ შემთხვევაში მთავარია ფინანსები, რის ნაკლებობასაც აშკარად განვიცდით. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ საკუთარ შენობაში მოგვცა ბინა, თორემ ჩვენი სარეპეტიციო დარბაზიც კი არ გვაქვს. როგორც შეუძლიათ გვეხმარებიან, რომ ეს ნიჭიერი ბავშვები ცეკვის ხელოვნებას დაეუფლონ. და აქვე, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მშობლებს, რომ არა ისინი, ჩვენ ვერაფერს მივაღწევდით.”

ბათუმიდან ჩამოტანილი მედლები და ფესტივალის უმაღლესი ჯილდო, სახელდახელოდ მოწყობილ საკონცერტო სანახაობაზე მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ გადასცა “ტელეფისელებს”. ტოლების საჯარო სკოლის სპორტულ მოედანზე, ანსამბლის ბენდი უკრავდა, რომელიც “ერისიონისა” და სეუს ქორეოგრაფიული ანსამბლების სამტრედიის მკვიდრი შემსრულებლებითაა დაკომპლექტებული.

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია დაჯილდოვებისა და მილოცვის შემდეგ აცხადებდა: “ორმაგად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ამ წარმატებას არა რომელიმე დიდი, ან თუნდაც ჩვენი დონის ქალაქის, არამედ ერთი ჩვეულებრივი სოფლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა მიაღწია. სულაც არ არის საჭირო ბრწყინვალე დარბაზები და განსაკუთრებული პირობები, თუ წარმატებისთვის შრომობ, შედეგს ყოველთვის დადებ!”

გამარჯვების მომტანი “განდაგანა” კიდევ ერთხელ, ამჯერად, თანასოფლელებისა და სტუმრებისთვის იცეკვეს “ტელეფისელებმა” და პირობა დადეს, რომ მათი ანსამბლის სახელით შემდგომი წარმატებებიც არ დააყოვნებს.

# “ბაჭიები” ბაღს დაემშვიდობნენ

ნათია ნაცვლიშვილი

***“ბაჭიები” ნინო რუხაძის აღსაზრდელები, მეოთხე ბაგა-ბაღის 5-6 წლიანები ბაღს ემშვიდობებიან. საზეიმო ღონისძიებამდე ყველამ ბევრი იშრომა, განსაკუთრებით კი ნინო მასწავლებელი გაისარჯა. მისი გათეული ლამეების შედეგია, ბავშვები ასე რომ ბრწყინავენ, მათზე დედასავით შეყვარებულმა პედაგოგმა ყვავილები, ქოლგები, მოსართავები, ერთი სიტყვით, ბავშვების მთელი მორთულობა თავად დაამზადა! ასე უხვობდა სხვადასხვა ფერი ამ ულამაზესი ბავშვების ზეიმზე.***

ღონისძიების დაწყებამდე ემოციას ვერ მალავს ჩვენთან ნინო მასწავლებელი: “ახლახან ერთი ბავშვი მეორეს ეკითხება: იცი, ვინ არის ჩვენთვის ნინო მასწავლებელი? იგი დედა მასწავლებელიაო! სწორედ ამ ბავშვების ასეთი დამოკიდებულება და დიდი სიყვარული მაძლევს ენერგიას და მიმძაფრებს მუშაობის და თავდადების მოტივაციას. ამ სიყვარულმა მომიყვანა საბავშვო ბაღში და ამ სიყვარულით ვაგრძელებ მუშაობას 30 წელია. ამას წინათ ერთი აღსაზრდელი მეკითხება: მას, თქვენ სად იძინებთ? აქ ხომ თქვენი საწოლი არ არისო. ვუთხარი, რომ ვიძინებ სახლში, მას რატომღაც ეგონა, აქ იყო მასწავლებლის საძინებელიც.”

ღონისძიების ბოლოს, დამსწრემ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილე მარინა შენგელიამ ბავშვებს ასე მიმართა: “ბავშვებო, როგორც ჩანს, მართლა არა აქვს თქვენს პედაგოგს საწოლი, ის იმდენს შრომობს, ნეტავ, როდის ისვენებსო!”

ამ ლამაზმა გოგო-ბიჭებმა წლის განმავლობაში პედაგოგთან ერთად მრავალი საინტერესო აქტივობა წარმოადგინეს, ახლა კი ულამაზესი ცეკვებით, სიმღერებით და ლექსებით მოიწონეს თავი. შესრულდა ცეკვა ყვავილებით, რგოლებით. ბიჭებმა ჯენლტმენების ცეკვა და ტანგო საყვარელ დედიკოებს უძღვნეს. საინტერესო იყო მეზღვაურების ცეკვა. ღონისძიების დასკვნით აკორდად აჟღერდა მმართველის, ნანა დუნდუასა და ამ აღსაზრდელების შესრულებით სიმღერა “თუ, თუ, თუ”. ნანა გამგე იმ დღეს პირველად იხილეს ბაგა-ბაღის თანამშრომლებმა სკოლის მოსწავლის სამოსში გამოწყობილი.

ღონისძიება დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს პატარებს ბაგა-ბაღის მეთოდისტებმა, მარინა ბადდავაძემ და მარინა ქოჩოვმა, რომლებიც ძალას და ენერგიას არ ზოგავენ და საინტერესო იდეებიც არ ელევათ.

“სამტრედიის მაცნესთან” ნანა დუნდუამ ღონისძიება შეაფასა: “მადლობა ნინო მასწავლებელს, ბავშვებს და მშობლებს, ნინო არის ფუტკრივით მშრომელი, დაუღალავი, არის ხელოვნების დიდი მოტრფიალე, ემარჯვება ლამაზი აქსესუარების მომზადება, დღევანდელი ღონისძიებისათვის მან ბავშვებს უამრავი ლამაზი ნივთი დაუმზადა და ამით დიდი შეღავათი გაუწია მშობლებსაც. გამოირჩევა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობითაც, უნიკალურ აქტივობებს ატარებს. არის ღირსეული მასწავლებელი.

ასევე მინდა გითხრათ, რომ ბოლო ღონისძიება, რომელიც ჩვენს ბაგა-ბაღში ამ სასწავლო სააღმზრდელო წლის ბოლოს მოეწყო და რომლითაც სეზონი დაიხურა, შესანიშნავმა პედაგოგმა, გულო ბოხუამ და მისმა ბავშვებმა წარმოადგინეს. გულო მასწავლებელი დიდი აქტიურობით, ბავშვების სიყვარულით და ენერგიულობით გამოირჩევა. საოცარი ქალბატონია, წლების მანძილზე გვაოცებს თავისი ღირებული ღონისძიებებით, დაჯილდოვებულია დიდი შემოქმედებითი უნარით. არის ბაგა-ბაღის დიდი გულშემატკივარი და საყრდენი წერტილი, ბედნიერი ვარ, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფში მყავს წარმატებული პედაგოგები, რა თქმა უნდა, მეთოდისტები უდიდეს ძალისხმევას დებენ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში.

# გმადლობთ, მშობლიურო სკოლავ!

ლევან გაბეჩავა

***თვალის დახამხამებაში გაპარულა დრო. ორმოცი წელი სრულდება, რაც სკოლა დავამთავრეთ, ხომ არ შევიკრიბოთ? _ თებერვლის ერთ სუსხიან დღეს გამოთქმული სურვილი, პაპანაქება ივლისში რეალობად იქცა.***

***ყველაფერი ჩვენმა თანაკლასელმა მირზა ლეჟავამ ითავა, თანაკლასელებსაც ეი შეეხმიანა. შეეხმიანა და ბავშვობასთან შესახვედრად მაია ხუჭუა რაჭიდან, ლეილა ჯამბურია და ნინო ბარათელი თბილისიდან, ციცინო და ზაზა კვანტალიანები რუსეთიდან, ტარიელ ქორიძე პორტუგალიიდან ჩამოვიდნენ. ჩვენ აქ დავხვდით და...***

14 ივლისი. 11 საათი. ფართოდ გაღებულ კულაშის მკურნალის სახელობის საჯარო სკოლის კარები. ამჯერად მშვიდად შევდიოდით კურსდამთავრებულები სკოლის ეზოში, თან იმ დროს ვიხსენებდით, ჟივილ-ხივილით არემარეს რომ ვაყრუებდით. სკოლის წინ, შესახვევისაკენაც ამაოდ გავიხედეთ, არსად ჩანდა წიგნებით ხელში მომავალი ჩვენი დირექტორი, ბატონი აკაკი ჯამბურია და აღარც ეზოში შემოგვგებებიან ჩვენი საყვარელი პედაგოგები.

ნელ-ნელა მოვიყარეთ თავი და პირველ კლასში მოვიკალათეთ.

საზღვრებს გადავიდა ჩვენი სიხარული, როცა სკოლაში ჩვენი ყოფილი პედაგოგები ნორა შავიძე და მირანდა თუთარაშვილი შემობრძანდნენ. მასწავლებლის მაგიდასთან დავაბრძანეთ ისინი. ნორა და მირანდა მასწავლებლები საოცარი სითბოთი მოგვესალმნენ და სიტყვა ჩვენ მოგვცეს, ორიგინალური სამახსოვრო ბარათებიც გადმოგვცეს (იდეა მირზა ლეჟავას ეკუთვნის).

კარგა ხანს დავყავით სკოლაში. გავიხსენეთ, როგორ დასაჯეს ლია შარაშენიძე ერთი ბოთლი სუნამოს თავზე გადასხმისათვის, თამარ კანდელაკი მოდური ჩექმებით სკოლაში მიბრძანებისათვის, ნაირა არველაძე ამოქარგული კაბით, ფორმის გარეშე სკოლაში მოსვლისათვის, თუ როგორ გააგდო შინ მელნის მოსატანად ლევან გაბეჩავა კლასის ხელმძღვანელმა, როგორ არჭობდნენ კალამ-კალმისტარს ბიჭები ჭერზე. გავიხსენეთ პირველი შატალოც. ვინ იცის, რამდენჯერ ვმდგარვარ კუთხეშიო, ალალად თქვა მირზა ლეჟავამ და ოთახის კუთხისკენ გაეშურა. კიბის მოაჯირზე ამჯერად ვერც ერთმა "ბიჭმა ვერ გავრისკეთ" ჩამოსრიალება. მივხვდით, წლებს თავისი გაუტანია. დავდიოდით დერეფნებში და ვიგონებდით ჩვენზე მზრუნველ პედაგოგებს: დირექტორს, აკაკი ჯამბურიას, სასწავლო ნაწილის გამგეებს, მიხეილ კრავეიშვილს, პავლე მიქელაძეს, სკოლის ორგანიზატორებს, გიორგი ჩაჩუას, სულიკო მუქერიას, გავიხსენეთ პირველი მასწავლებელი ნეოლინა შენგელია, ჩვენი კლასის ხელმძღვანელი ლილი მელქაძე (6 წელი ხელმძღვანელობდა ჩვენს კლასს), ვახტანგ გაგუა, კაკო ხუჭუა, კაკო ქათამაძე, ალიკო კაჭარავა, მიშა ნიკურაძე, მიშა რამინაშვილი, მიშა ცერცვაძე, გურამ თევზაძე, ამირან მსხილაძე, კარლო გოთოშია, თორნიკე პაპავა, გიორგი სტურუა, გივი კვანტალიანი, ლენა, რუსუდან სტურუები, ლილი მიქელაძე, ზინა ლეჟავა, სონია ტორონჯაძე, ნადია გაბეჩავა, ქეთევან კვანტალიანი, თინა ჟვანია, ეთერ მჟავანაძე, თამარ ნინუა, გულიზა ჯღამაძე, ლია ლეჟავა (იგი ყველაზე ახალგაზრდა იყო ჩვენს პედაგოგებს შორის), ნუნუ ტყეშელაშვილი, უფროსი პიონერხელმძღვანელი, ლეილა ფრანგიშვილი, ტექნიკური მუშაკები: ვალოდია ახობაძე, ვასო კუტალაძე, თამარ დეიდა, ფაცია დეიდა, მებუფეტეები მზია, აზა...

ერთი სიტყვით, მოგონებებით რომ გული ვიჯერეთ, გეზი ჯვარცმის სასაფლაოსკენ ავიღეთ, სადაც გარდაცვლილი თანაკლასელები "გველოდნენ".

პირველმა მაია ახობაძემ ჩაგვაცვა შავი თანაკლასელებს. 32 წელი გასულა მისი გარდაცვალებიდან. 3 წლის უკან საშა სტურუამ დაგვტოვა, ერთი წელი გავიდა ტარიელ ქორიძის (კიოს) გარდაცვალებიდან. მერე მათი საფლავები ყვავილებით მოვრთეთ, სანთლები დავანთეთ და მდუმარედ დავტოვეთ მათი სამუდამო განსასვენებლები.

ჩვენი ნონა _ ნონა ვაშაკიძე მაცხოვრის სასაფლაოზე განისვენებს. იქაც იგივე რიტუალი, ცრემლი, ყვავილები. მის ხსოვნასაც მივაგეთ პატივი და შეხვედრა რესტორან "იმერეთში" გაგრძელდა. ხმათა უმრავლესობით მაგიდას მირზა ლეჟავა უძღვებოდა, მერაბ ბოცვაძემ მოადგილეობას გამოჰკრა ხელი.

სადღეგრძელოები, წრფელი, საოცრად თბილი, ნოსტალგია, ცრემლი, თრთოლვა, იგრძნობოდა არა მარტო "გოგონების", "ბიჭების" ხმაშიც.

სიყვარულით, სიხარულით ცრემლმორეულმა დაგვლოცა ნორა მასწავლებელმა "ბავშვები", ღირსსახსოვარი დღე მოგვილოცა მირანდა მასწავლებელმა.

წრე შევკარით და მასწავლებლებს შევკადრეთ ეცეკვათ ჩვენს შორის. ხათრი არ გაგვიტეხეს და წრეში აღმოჩდნენ ნორა და მირანდა მასწავლებლები.

ბავშვობა გაიხსენა და დარბაზს საოცარი ხმით, სიმღერით ჭერი ახადა ჩვენმა თანაკლასელმა დათო ნიკურაძემ.

საოცრად გულახდილები ვიყავით ყველანი და დღეს უკვე ცხოვრებაში ჩახედულები მადლობას ვუთვლით იმიერში გარდასულ ჩვენს პედაგოგებს ზრუნვისა და იმ შრომისათვის რაც ჩვენს საკეთილდღეოდ გასწიეს. კიდევ ერთხელ გამოვთქვით სამადლობელი ჩვენი პედაგოგების, ქალბატონების: ნატო შეროზიას, ფიქრია მალაღურაძის, ნუნუ კიკვაძის, ია დვალიშვილის, რუსიკო ტეფნაძის მისამართით და ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვეთ მათ.

მაგიდასთან ყოფნის ორი თუ სამი საათი გავიდა და ყველანი ფეხზე ავდექით, საგანგებო დერეფანი გავაკეთეთ და ტაშით გავაცილეთ დარბაზიდან ნორა მასწავლებელი.

ერთი სიტყვით, შუაღამემდე ვეფერეთ ერთმანეთს, ვიცელქეთ, ვიეშმაკეთ და სამახსოვრო ფოტოებითა და კვლავ შეხვედრის სურვილით დავიშალეთ.

მადლობა უფალს, მადლობა ჩვენს სკოლას, რომ თანაკლასელთაგან ყველანი პატიოსანი შრომით ვარსებობთ, _ ვიმეორებდით 40 წლის წინ კურსდამთავრებულები და განშორება გვეძნელებოდა. თანაკლასელებისაგან საღამოს ორგანიზებისათვის მადლობა მირზა ლეჟავამ დაიმსახურა.

დაბოლოს, საოცრად საპატიო სტუმარი ჰყავდა ჩვენს შეხვედრას. თანაკლასელის, მირზა ლეჟავას შვილიშვილი, მათე ლეჟავა, ბრიალა თვალებით რომ აკვირდებოდა ბაბუას თანაკლასელთა დაუსრულებელ ოხუნჯობასა და სიცელქეს.

გმადლობთ, მშობლიურო სკოლავ!

*სურათზე: ექსკურსია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში.*
*თანაკლასელთა ერთი ნაწილი.*

# სტუმრად მამა ნაუმთან

მეგონა, დაუსრულებელი იქნებოდა გასავლელი გზა, აღმართს ფეხით დავადექით, ცოტა შიშით, დიდი რწმენითა და დიდი სიყვარულით. ვიცოდით უფლის სახლში მივდიოდით, იქ, სადაც სასწაულმოქმედი მამაო გვხვდებოდა, სნეულებს კურნავდა, სასწაულებს ახდენდა. გადაიშალა ულამაზესი ბუნება, ბილიკებიც ავიარეთ, პატარა ხიდიც გადავიარეთ. წინ მოხუცები მიდიოდნენ, ყავარჯნიანი ბიჭები, პატარა ბავშვები, ყველანი ტაძრის კართან აღმოვჩნდით. შიგნიდან უცნაური ხმა გამოდიოდა, შევშინდი, დავიბენი, სახეზე ხელი ავიფარე და ღვთისმშობლის ლოცვა დავიწყე. ნეტავ, თუ მეღირსება ახლოს მივიდე მამა ნაუმთან? ჩემთვის ვჩურჩულებ. თითქმის ნახევარი საათის შემდეგ, შემოდითო, გვანიშნა კართან მდგომმა მამაკაცმა, შევედი. თავდახრილი დავდექი, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ყველანი უკან დადექით, რა დღეში ხართ! გაბრაზებით წარმოთქვა მამაომ. გავირინდეთ. ბუზის გაფრენის ხმას გაიოგონებდა კაცი.

_ რა გაწუხებს?

_ თავი მტკივა მამაო. _ იყო პასუხი.

_ რა გქვია? _ ეკითხება ჭაღარა ნაუმი.

_ თამუნა.

_ თამუნა არა ის! _ გაუბრაზდა გოგონას, _ თამარი ხარ შენ!

თამარმა თავი დახარა. მოძღვარმა თავი მაღლა ასწია და ხვნეშით დაიწყო, თითქოს ყველა თამარის ტკივილი მასზე გადავიდა. ისევ და ისევ მეორდებოდა ყურებზე ხელი ავიფარე და ტირილი დავიწყე, მამა ნაუმის ამხელა სიმძიმემ შემძრა. გული მოვიოხე ტირილით. ისევ ადგილზე ვიდექი, სადაც პირველად შევაბიჯე, არ ვდარდობდი, ჩემი მეგობრების სახეები არასოდეს დამავიწყდება, გაფითრებულები დიდრონი თვალებით უმზერდნენ მამა ნაუმს. მთელი ორი საათის განმავლობაში ვუყურებდით როგორ გაიარა მისი დალოცვის შემდეგ ყავარჯნის გარეშე ბიჭმა, როგორ დააცხრო ლოცვის შემდეგ განრისხებული ბავშვი, ლოცვის ხმაზე რომ ჰკიოდა. ვხედავდით, როგორ იღლებოდა მამაო, თან ძალას როგორ იკრეფდა რომ ყველასთვის მიეხედა.

ჩემი მეგობრების ჯერიც დადგა, მივიდნენ თავდახრილები, ჩამწყდარი ხმით, მოკრძალებითა და შიშით, თუმცა უზომოდ ბედნიერები იყვნენ, ისე როგორც ყველა მონასტერში მყოფი, გარეთ თუ შიგნით, ჩემი რიგიც მოვიდა, მამაოს ლოცვის დროს ამოოხრება უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ხან მშვიდი იყო უზომოდ, ხან ხალხის უწესრიგობაზე ბრაზდებოდა, ხან კიდევ სნეულთა და ცოდვილთა ტკივილისაგან აღელვებული, ხან იუმორიც ეძალებოდა, რაც გულში თაფლივით დნებოდა და გვიტკბობდა გულს. როგორ მინდოდა დაჩოქება, ცრემლიანი თვალებით მეამბნა, რომ ცოდვილი ვარ, რომ განსაცდელით საცვე ვარ, რომ ცილისწამებამ გამანადგურა, რომ საყვარელი ადამიანები მეკარგებიან და რომ ბევრი რამე მტკივა როგორც ხორციელად ისე სულიერად. ჩვენ ყველა ცოდვილი ვართ. _ მიპასუხა ერთმა ჩემმა მეგობარმა, შენ დაავადება უთხარი მხოლოდ და ისევ დაავადებაზე ვიფიქრე, რომელიც მაწუხებდა, მივეახლე, თავზე ხელი დამადო. მე ავტირდი, რადგან ჩემი ცოდვებით ვიცოდი დავამძიმებდი მამა ნაუმს.

_ რა გქვია, რა გაწუხებს? _ მეკითხება გადაღლილი მოძღვარი.

_ მე თეონა მქვია, მხედველობა მიურესდება მამაო. _ ათრთოლებული ხმით ვპასუხობ მოძღვარს!

_ მოიძვრე სათვალე, გადაიწიე "ჩოლკა". _ შემომხედა მამაომ და ჩემს თვალებს რომ დახედა, თითქოს გამეხუმრა: _ იმდენი "კრასკა" გისვია, რას გაიხედავო, ცრემლები თავისით მომდიოდა, მისი მადლიანი ხმა რომ გავიგონე, უზომოდ ბედნიერად ვიგრძენი თავი, ლოცვა დაიწყო, თავი მაღლა ასწია, ხვნეშა ამოუშვა თითქოს ლახვარი სცესო, წადიო მანიშნა, თავი არ ამიწევია, ისე წამოვედი კარისკენ. მივფრინავდი ბედნიერი, ეზოში ჩამოვჯექი. რამდენიმე მეგობარი ისევ ტაძარში იყო. მე თვალებზე ხელს ვისვამდი, ვიცოდი, ჩემი დაავადება თანდათან გამიუმჯობესდებოდა. ვერ გავაცხადე სასწაული, მოვითმინე, მაგრამ თვალებში აღარაფერი დამდიოდა, სუფთად ვუყურებდი გარე სამყაროს, მიხაროდა და მეშინოდა, ისევ თავიდან არ დაეწყო თვალებში წერტილებს ცურვა. დიდება ამ სასწაულს და სასწაულმოქმედს, ბედნიერები ვბრუნდებოდით უკან.

უფალმა დალოცოს ეს წმინდა ადამიანი, ეს წმინდა ადგილი და ყველას მოგიწოდებთ, მოილოცეთ და მიიღეთ მადლი, განიკურნეთ, ვისაც გჯერათ და ვისაც რწმენა გაკლიათ. დარწმუნებული ვარ, მამა ნაუმის ნახვის შემდეგ ყველანი ჭეშმარიტი ქრისტიანები გახდებით, სნეულნი განიკურნებით!

*თეონა ჯანტურია*

# მიწის რაციონალურად გამოყენებისათვის

საკვები ბაზა მეცხოველეობის განვითარების ძირითადი საშუალებაა, უფრო სწორად კი, საფუძველთა-საფუძველია. ხშირად კი ფერმერების და ინდივიდუალური მეურნე _ მეწარმეების მარტივი წესებისა თუ სხვადასხვა მიზეზების, აგრეთვე, არსებული რეზერვების გამოუყენებლობით, საკუთარი წარმოების საკვები ბაზით პირუტყვის უზრუნველყოფა გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ამ საქმეში დიდი რეზერვია სანაწვერალო კულტურების თესვა-მოყვანა.

სანაწვერალო კულტურები ძირითადად ითესება მარცვლეული კულტურების: შვრია, ქერი, ხორბალი, ჭვავი, ტრიტიკალეს მწვანე მასად, ან თივად აღების შემდეგ.

უხვი და მაღალხარისხოვანი საკვების მისაღებად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სანაწვერალო კულტურების შერჩევას. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამტრედიის საცდელ-საყრდენი პუნქტის მიერ, ნაწვერალზე მეორე მოსავლის მისაღებად მრავალი საკვები კულტურა იქნა გამოცდილი და დანერგილი გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებში. დადგენილია, რომ ნაწვერალზე მაღალ მოსავალს იძლევიან: სოიას ნარევი სიმინდთან მწვანე საკვებად და სასილოსედ, სორგო, ჯუგარა, სუდანის ბალახი და ასევე ამ კულტურების მრავალკომპონენტიანი ნარევები.

სოიანარევი სიმინდი მწვანე მასად და სასილოსედ დაითესება ჩვეულებრივი წესით მწკრივად, ასევე შეიძლება თესვა ჩავატაროთ ვიწრო მწკრივებში ან მობნევით. ამ შემთხვევაში სიმინდი დაითესება ერთნახევარი ნორმა, სოია კი ჩვეულებრივი ნორმით.

სორგო: განსაკუთრებით კი ჯუგარა წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც სანაწვერალო კულტურა. იგი კარგად ეგუება, იზრდება ყველა სახის ნიადაგზე. იზრდება 2-2,5 მეტრი სიმაღლის, ჩვეულებრივი აგროტექნიკის პირობებში 300-350 ცენტნერ მწვანე მასის მოსავალს იძლევა ჰექტარზე. სორგო, ჯუგარა მეორედაც ითესება, იძლევა მძლავრ ამონაყარს. ნაწვერალზე სორგოს თესვა უმჯობესია ვიწრო მწკირვებში ამ წესით თესვის დროს ჰექტარზე თესვის ნორმა 25-30 კილოგრამია.

სანაწვერალო კულტურად პერსპექტიულია სუდანის ბალახი (სუდანურა). იგი სითბოს მოყვარული, გვალვაგამძლე და მაღალი მოსავლის მწვანე მასისა და თივის მომცემი მცენარეა. სავეგეტაციო პერიოდში ითიბება 2-3-ჯერ. შესაძლებელია მისი გამოყენება მწვანე მასის მისაღებად წლის განმავლობაში ხანგრძლივად. სუდანურას თესვის ნორმა ჰექტარზე 20-25 კილოგრამია.

ნაწვერალზე დასათესად უპირატესობა უნდა დაეთმოს მრავალკომპონენტიანი ნარევების თესვას. დამტკიცებულია, ერთი და იმავე ფართობზე მრავალკომპონენტიანი ნარევებიდან, ჩვენს პირობებში უკეთესია: სიმინდი, სოია, სორგო (ჯუგარა), სუდანურას ნარევი. ასეთი ნარევი 350-350 ცენტნერ მწვანე მასას იძლევა. მრავალკომპონენტიან ნარევში თესვის ნორმა ცალკეული კულტურებისა ასეთია: სიმინდი 40, სორგო (ჯუგარა) _ 6, სოია _ 40, სუდანურა 8 კილოგრამი ჰექტარზე.

აღნიშნული კულტურების მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა მინერალური სასუქების შეტანა, შემდეგი რაოდენობით: აზოტი 60 კგ, კალიუმი 60 კგ, ფოსფორი 90 კგ. ჰექტარზე.

სუფთა ნივთიერების მიხედვით თუ წინამორბედი, ძირითადი კულტურების ქვეშ შეტანილი იყო ფოსფორი და კალიუმი, მაშინ ამ სასუქების შეტანა საჭირო არ არის და მხოლოდ აზოტს შევიტანთ.

ვთესოთ სანაწვერალო კულტურები დროულად, რაც მაღალი მოსავლის მიღების გარანტიაა და დაგვეხმარება მეცხოველეობის საკვების ბაზით უზრუნველყოფის საქმეში.

*ბერის კაციანი*
*აგრონომიტრი*

# მახად უხვდავი პოეტი

**ლევან გაბეჩავა**

**“ღმერთო, შეაყვარე ქართველს ქართველი და საქართველო, რადგან ამ უკანასკნელს არა დაუშავებია რა” _**

***ბრძანებდა ვაჟა-ფშაველა***

“ერთ-ერთი პირველი იყო ვაჟა, ვინც ქართულ მწერლობაში თერგდალეულთა პირველ დაძახილზე მოვიდა. მოვიდა, როგორც ერის უკიდეგანო ძარღვის ნაწილი, ძარღვისა, რომელიც თურმე ისევ ცოცხლობდა მაღალი ციხეების ნანგრევებში და ერისკაცების სულში”. _ წერდა მამუკა წიკლაური.

რა იქნებოდა ქართული მწერლობა, გნებავთ მსოფლიო პოეზია, ვაჟას შემოქმედების გარეშე? რამდენადმე მწირი და არასრული.

უბრალო და წრფელი, ბუნების მესაიდუმლე, კაცი, ვინც ყველაზე მეტად იცოდა ენა თავანკარა ნაკადულისა, შვლის ნუკრისა, მთის არწივისა, ნაზი იისა, ვისაც მხოლოდ მისებურად ესმოდა შრიალი უსიერ ტყეთა, საოცარი ენერგიით რომ ავსებდა და აზვიადებდა მის სულსა და გულს. სახალხო პოეტი იყო ვაჟა, ჭეშმარიტად სახალხო.

პოეტის იუბილესთან დაკავშირებით (1861-1915 წ.წ.) რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ მკითხველს:

**გაზაფხულს ია ამოდის**

**გაზაფხულს ია ამოდის, _**
**სთველში ირემი ყვირისო, _**
**ე ჩემი გული ტიალი**
**ისევ და ისევ სტირისო.**
**ღამით მინახავს მთის პირად**
**ბუ გულსაკლავად ჰკიოდეს;**
**ნეტავ, თუ კიდევ სხვასაცა**
**ჩემებრივ გული სტკიოდეს?!**
**მითამ სუყველას ბოლო აქვს,**
**ზღვანიც-კი დაშრებიანო;**
**მაშ ჩემის გულის დამჭრელნი**
**რატომ არ გასწყდებიანო?!**

**არწივი**

**არწივი ვნახე დაჭრილი,**
**ყვავ-ყორნებს ეომებოდა,**
**ეწადა ბეჩავს ადგომა,**
**მაგრამ ვეღარა დგებოდა.**
**ცალ მხარს მიწაზე მიითრევს,**
**გულისპირს სისხლი სცხებოდა.**
**ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,**
**ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,**
**თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს**
**გაშლილს, გაფანტულს ველადა!**

**მარად ჩვენი თანამედროვეა ვაჟა.**

## უკვდავების ბინადარი _ ვახტანგ ბალავაძე

ის რომ, 1962 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იმართება საქართველოში მისი სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, მის განუზომელ აღიარებაზე მეტყველებს.

ბატონ ვახტანგ ბალავაძის შესახებ ბევრი რამ სმენიათ სამტრედიელებს, საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებს კი ხშირად ჰქონიათ მასთან შეხვედრის ბედნიერება.

1926 წელს სოფელ ღანირში დაიბადა ფრანგების მიერ "ჭიდაობის პროფესორად", იაპონელების მიერ კი "ჩემპიონთა ჩემპიონად" ნათლული ლეგენდარული სპორტსმენი. საბჭოთა კავშირის ხუთგზის, მსოფლიოს ორგზის... ჩემპიონი ბატონი ვახტანგ მიხეილის ძე ბალავაძე.

გასული საუკუნის 60-90 წლები საოცარი აღმავლობის იყო სამტრედიაში კულტურულ-საზოგადოებრივი, სპორტული ცხოვრების თვალსაზრისით. ხშირად სტუმრობდნენ ჩვენს ქალაქს ცნობილი ადამიანები, მათ შორის გახლდათ ბატონი ვახტანგი.

ორჯერ თუ სამჯერ, კოლეგებთან ერთად, მქონდა ბედნიერება, ჩემპიონის მშობლიურ ღანირში მიმეღო მონაწილეობა მის პატივსაცემად გამართულ ღონისძიებაში, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში.

"სამტრედიის საპატიო მოქალაქის" წოდებით აღუნუსხეს ამაგი და გამოხატეს სიყვარული და პატივისცემა სამტრედიელებმა ლეგენდარული სპორტსმენისადმი, რომელიც თბილისის საპატიო მოქალაქეც გახლდათ (1999 წელს).

მის მეგობართან და ასევე სასიქადულო სამტრედიელთან, აკადემიკოს ბენედიქტე ბალავაძესთან ერთად ბატონი ვახტანგი არაერთხელ სწვევია მშობლიური სოფლის მშობლიურ სკოლას.

"სამტრედიის მაცნეს" მდიდარ არქივში უხვად ინახება გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, ბატონ რომან ბექაიას მიერ გადაღებული ფოტოები, ბალავაძეთა გვარის ამ ორი ბუმბერაზის სამტრედიაში, ღანირში სტუმრობას რომ ასახავენ.

წელი სრულდება ამ დღეებში ლეგენდარული ჩემპიონის გარდაცვლებიდან.

ფრიად სასიამოვნო იქნება სამტრედიაში, სადაც პატივს სცემენ სპორტსა და უშუალოდ ჭიდაობას, ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირი თუ გაიმართება. ეს იქნება მისი სახელის უკვდავებისათვის ჩვენს მიერ გამოხატული კეთილი ნება.

*ლევან გაბეჩავა*

# რკინიგზელები რკინიგზელთა ქალაქიდან

**ლევან გაბეჩავა**

***ლამაზი სოფელია ზემო ნოღა. ამ სოფელში დაიბადა კაცი, ვის შესახებაც ამჯერად ვწერთ. სოფლის საშუალო სკოლისა და რკინიგზის ტექნიკუმის შემდეგ, ბატონმა ივანე კუტალაძემ თბილისის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტი დაამთავრა და მთელი შეგნებული ცხოვრება ტრანსპორტის ამ სახეობის შემდგომ განვითარებას მიუძღვნა. მეორე მსოფლიო ომში სხვა მრავალ პატრიოტთა დარად, ბატონი ვანოც სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მანამ იბრძოდა, ვიდრე ნანატრი, გამარჯვების 9 მაისის დილა არ გათენდა.***

სხვადასხვა დროს მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ორჯონიკიძისა და კიზლიარის სამხედრო საექსპლუატაციო განყოფილებაში, ტექნიკური ბიუროს უფროსი ინჟინრისა და სადგურის უფროსის თანამდებობაზე. რკინიგზის ერთ-ერთი სადგურის დაბომბვისას დაიჭრა კიდეც.

საოცრად რთული და პასუხსაგები იყო ის პერიოდი, როცა ბატონი ვანო რკინიგზის სამტრედიის განყოფილების დისპეტჩერ-სელექტორისტად და სამხედრო დისპეტჩერად მუშაობდა.

უანგაროდ, საქმისადმი საოცარი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით იღვაწა ღვაწლმოსილმა რკინიგზელმა ხრესილის, არგვეთისა და ავჯამეთის რკინიგზის სადგურების უფროსად.

ყველაზე დიდხანს, თითქმის საუკუნის მეოთხედი გახლდათ ბატონი ვანო მუხიანის სადგურის უფროსი. ამავე სოფელში ცხოვრობდა ის და მისი ოჯახი, სადაც თანასოფლელთა საოცარი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს.

ვანო კუტალაძემ და მისმა ერთგულმა მეუღლემ, ქალბატონმა ნახიმ ღირსეული ქართული ოჯახი შექმნეს. სამი ქალიშვილი აღუზარდეს სამშობლოს, იამზე და ნარგიზი პედაგოგები, ხოლო მზეო ინჟინერი გახლავან. თავიანთ მხრივ, მათაც შესანიშნავი მეუღლეები, შვილები და შვილიშვილები ჰყავთ, რომელთაც, დიახაც რომ, ეამაყებათ ღირსეული კაცის შვილობა და შვილიშვილობა.

ბედის ირონიით, 69 წელს მიღწეული, ჯერ კიდევ ჯან-ღონით გახლდათ აღსავსე ბატონი ვანო, როცა სარკინიგზო შემთხვევის გამო ტრაგიკულად დაიღუპა. ამ ფაქტმა დიდად დაამწუხრა არა მარტო ოჯახი და ახლობლები, ის ადამიანებიც, წლების მანძილზე მის მხარდამხარ რომ უხდებოდათ საქმიანობა.

კუტალაძეების საოჯახო არქივში უამრავი სიგელი, მედალი, ორდენი, ფასიანი საჩუქარი ინახება, ვანო კუტალაძის მიერ სახელოვნად განვლილ გზაზე რომ მეტყველებენ.

დღესაც თბილად იხსენებენ საშუალო და უფროსი თაობის რკინიგზელები უფროს კოლეგასა და მეგობარს, რომლის ნათელ ხსოვნასაც არასოდეს მიეკარება ბინდი დავიწყებისა.

შვილებში, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში გრძელდება ივანე კუტალაძის შეწყვეტილი სიცოცხლე.

ნათელში იყოს!

# 20 წლის წინ

## ქართველ მეცნიერთა უდიდესი წარმატება

1999 წლის 23 ივლისი. ღია კოსმოსში ორბიტაზე გაიყვანეს ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი _ შვიდმეტრიანი რეფლექტორი.

იმავე წლის 28 ივლისს კი, წარმატებული გამოცდის შემდეგ, რეფლექტორი გადავიდა დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე. ეს ფაქტი უდიდესი მიღწევა და გამარჯვება იყო ქართული სამამულო მეცნიერების. ამდენად, ეს თარიღი და მოვლენა დაუვიწყარი და მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

მანამ კი, კერძოდ, 1991 წელს თბილისში პირველად ამუშავდა კოსმოსური სატელეფონო კავშირგაბმულობის სისტემა.

საქართველო ჩაერთო მსოფლიო საერთაშორისო კოსმოსურ სატელეფონო კავშირში.

როგორც ერთი, ისე მეორე მოვლენა უდიდესი შრომის, მრავალწლიანი მეცნიერული კვლევა-ძიების ნაყოფი იყო.

რაც მთავარია, ამით, მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დამოუკიდებელმა საქართველომ თავისი სიტყვა თქვა მსოფლიო მეცნიერებაში.

*ლევან გაბეჩავა*

## წინ ზაგრების "დინამოა"

საქართველოს ახალმა მოქმედმა ჩემპიონმა თბილისის "საბურთალომ" (მთავარი მწვრთნელი გიორგი ჭიაბრიშვილი) 10 ივლისს ქალაქ ტირასპოლში (მოლდავეთი) ადგილობრივ "შერიფთან" დამაჯერებელი ანგარიშით 3:0 გამარჯვების შემდეგ უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი შეხვედრა 16 ივლისს თბილისში, მიხეილ მეხის სახელობის "ლოკომოტივის" სტადიონზე გამართა. სამწუხაროდ, დამარცხდა ანგარიშით 3:1. ამ დამარცხების მიუხედავად ორი მატჩის ჯამის მიხედვით შემდეგ ეტაპზე "საბურთალო" გავიდა.

უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრას თბილისის "საბურთალო" 23 ივლისს მიხეილ მესხის სახელობის "ლოკომოტივის" სტადიონზე გამართავს ხორვატიის დედაქალაქის გუნდის ზაგრების "დინამოს" წინააღმდეგ.

*ირაკლი ნიკოლეიშვილი*

# კვლავ გამარჯვება

კინგბოქსინგში საერთაშორისო ტურნირს "თბილისის თასი" უმასპინძლა ამ დღეებში საქართველოს თმაჭაღარა დედაქალაქმა.

სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ივანე კილტავა) აღსაზრდელებმა და მწვრთნელ-მასწავლებელმა კობა კიკაჩეიშვილმა ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს და პრიზებით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ შინ.

დაძაბული ასპარეზობის შემდეგ პირველი ადგილი ზვიად კვანჭიანმა დაისაკუთრა. გიორგი კვანჭიანი, ლადო არჩაია, ლუკა კიკაჩეიშვილი და ლუკა კოპალეიშვილი კი მეორე ადგილებზე გავიდნენ.

წარმატებით იასპარეზა ტურნირზე მწვრთნელ-მასწავლებელმა კობა კიკაჩეიშვილმაც, რომელიც სპეციალური ჯილდოთი, თასითა და საბრძოლო ხელთათმანით დაჯილდოვდა.

ასე რომ, კინგბოქსინგელებმა ამჯერადაც გვასახელეს.

წარმატებებს ვუსურვებთ სამტრედიელ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელს, კობა კიკაჩეიშვილს მომავალ ასპარეზობებში.

ლევან გაბეჩავა

*უკომენტაროდ*

# ძეგლი იაპონიაში

იაპონიის დედაქალაქში ტოჩინოშინს ქანდაკება დაუდგეს. ქართველ სუმოისტს ხელში რაგბის ბურთი უჭირავს.

20 სექტემბერს იაპონიაში რაგბის მსოფლიო თასი იწყება, სადაც მონაწილეობას საქართველოს ნაკრებიც მიიღებს. ტოჩინოშინის ქანდაკება სწორედ ამ ტურნირს ეძღვნება.

იცოდით, ჭავჭავაძის ქუჩა №1-ში მდებარე მაღაზია K & J-ს შესახებ. იქნებ ისარგებლეთ კიდეც მისი მომსახურებით, მით უფრო, თუ მხედველობის პრობლემა გაქვთ. აქ ყოველთვის შეგიძლიათ შეიძინოთ ევროპული ხარისხის მზა სათვალეები, ჩარჩოები, კოსმეტიკური და მაკორექტირებელი კონტაქტური ლინზები, სათვალის აქსესუარები, კონტაქტური ლინზების მოვლის საშუალებები. აქვე სწრაფად დაგიმზადებენ სათვალეებს და დახიანების შემთხვევაში შეაკეთებენ კიდეც.

ეს ყველაფერი არ არის: შაბათს და კვირას თბილისიდან მოწვეული ოფთალმოლოგი, კლინიკა "ბალტიკას" ექიმი, მილენა ნონიაშვილი თქვენს ჯანმრთელობაზეც იზრუნებს. მაღაზია აღჭურვილია თანამედროვე ოფთალმოლოგიური აპარატებით. რეფრაქტოკერატომეტრით მოხდება თქვენი თვალის გუგის დათვალიერება და ნომრის დადგენა, ხოლო დიოპრიმეტრის მეშვეობით _ სათვალის დიოპტრის დადგენა.

სათვალის დამზადება ხდება ავტომატური ხელსაწყოს საშუალებით, რომლითაც გარანტირებულია თქვენი სათვალის სიზუსტე.

ქველმოქმედების მიზნით, პერიოდულად, სოციალურად დაუცველებისა და ბავშვებისათვის K & J-ს ეგიდით უფასო გამოკვლევებიც ტარდება.

მაღაზიაში თქვენ სუნამოებისა და საათების ფართო არჩევანიც გელოდებათ. შეგიძლიათ თქვენთვის სასურველი ორიგინალური, მაღალი ხარისხის სუნამოები გამოიწეროთ კიდეც.

K & J კომპიუტერულ მომსახურებასაც სთავაზობს მომხმარებელს, არა მარტო ჭურჭელსა და მაისურებზე ხდება სასურველი აპლიკაციების ბეჭდვა, არამედ გრანიტსა და შუშაზეც.

მობრძანდით მაღაზია K & J-ში, თქვენ კვალიფიციური თანამშრომლების მომსახურებითა და მრავალფეროვანი არჩევანით კმაყოფილი დარჩებით!

მაღაზია მუშაობს დილის 10.00 საათიდან 20.00-მდე.



**რედაქციის მისამართი:**
**სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6**
**ტელ: 599 02 41 11**

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა